სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 ივნისი 2006 №140 (2762) ფასი 50 თეთრი

AFP ფოტოსურათები

AFP ფოტოსურათებიდან

AFP ფოტოსურათებიდან

ყვითელი წყალქვეშა სკანდი-ნავი გერმანიისკენ გაცურდა

AFP ფოტოსურათებიდან

გმირო!

მიროსლავ კლოზე: ეკვად-ორიც

მერვედფინალი

24 ივნისი

გერმანია VS შვედეთი

25 ივნისი

ინგლისი VS ეკვადორი

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი
ფრანკფურტი
ზიგნალ იდუნა პარკი

B ჯგუფი. III ტური

შვედეთი 2:2 ინგლისი

№35. 20 ივნისი. 23.00. პიოლნი. „რაინენერგიშტადიონი". 45 000 მაყურებელი

0:1 ჯ. კოული (34), 1:1 ოლბოკი (51), 1:2 ჯერარდი (85), 2:2 ლარსონი (90)

შეცვლა: ოუენი – 21. ჯრაუჩი (4), იონსონი – 21. ვილჰელმსონი (54), ფერდინანდი – 12. ჯემპელი (56), რუნი – 4. ჯერარდი (69), ოლბოკი – 17. ელმანდერი (75), ლინდეროტი – 19. ანდერსონი (90)

გაფრთხილება: ჰარგრივსი (76), ალექსანდერსონი (83), ლიუნგბერგი (87)

მსაჯები: მასიმო ბუსაკა; ფრანჩესკო ბურაგინა, მათიას არნეტი (შვეიცარია)

18	ჯარიმა	13
12	კუთხური	6
9	ჯარისკენ დარტყმა	14
6	ჯარში დარტყმა	8
0	თამაშგარე	1

AFP. კიოლნიდან

ათასად რენსენბრინკი დაფასდა, ორიათასად ოლბოკი

მეთერთმეტე დაპირისპირება სანაკრებო დონეზე და მეშვიდე ფრე. დანარჩენ ოთხ მატჩში შვედებს უმარჯვიათ — ინგლისელებმა მეთერთმეტე ცდაზეც ვერაფერი დააკლეს უსიამოვნო ტრადიციას. ამ უსიამოვნებაში, თქმა არ უნდა, სასიამოვნოც ერია, გუშინდელმა 2:2-მა ინგლისს ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაუბევა და მერვედფინალში ეკვადორთან დააწყვილა, შვედებს კი სრულიად გერმანიასთან მოუწევთ ჭიდილი. ფრე თითქოს ყველაზე მოსალოდნელი შედეგი იყო და ორივე მეტოქე მერვედფინალში გაჰყავდა, მაგრამ, რა ქნან ინგლისელებმა, არ იციან ეს ფრეზე თამაში და... მოკლედ, წავიდა ჯირითი!

თამაში ისეთი გამოვიდა, პირველი წუთიდან გულს რომ აგიჩქარებს და საფინალო სასტვენამდე გასაქანს არ მოგცემს. მატჩის არბიტრის წამმზომს ერთი წრე არ გაესრულებინა, ბრიტანელთა ბანაკმა ერთ-ერთი ლიდერი რომ მოისაკლისა. მაიკლ ოუენი მეტისმეტად უხერხულად მოსრიალდა მოედანზე და ისე, რომ მეტოქე არც შეხებია, საკაცით გასატანი შეიქნა. სვენ გორან ერიკსონმა მაიკლი აყლაყუდა კრაუჩით ჩაანაცვლა.

პირველი ნახევრის მიხედვით, შვედეთი მეტისმეტად უსუსურად გამოიყურებოდა და ინგლისელებს რომ ევარგათ, სოლიდური ფორა უნდა შეექმნათ. მოედანზე ორივე მხრიდან აშკარად საუკეთესო ჯო კოულმა ნერვები დააწყვიტა შვედებს და მათი დაცვის მაჯვენა ფლანგი ფეხქვეშ გაიფინა. შედეგი? პირველ შემთხვევაში ჯოს მცველებმა დაუფარეს, მისივე დამატებული ოდნავ გადაცდა კარს, მერე კი, 34-ე წუთზე... კარიდან, ასე, ოცდაათ მეტრში მყოფმა კოულმა ერთი შეხებით მოათვინიერა ბურთი და მეორით ისეთი აბრაგანი დაარტყა, ისაკსონის გასამტყუნებლად კაცს ენა არ მოგიბრუნდება. შვედთა მეკარემ შორეულ ცხრიანში ჩაშვებამდე თითებიღა წაატანა ბურთს.

პირველ ნახევარში უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, ინგლისი ერთი გოლის მეტს ვერას გამორჩა, მეორეში კი დაიწყო და რა დაიწყო...

მატჩის სცენარის ასეთ შემოტრიალებას შვედთა თავგადაკლული ქომაგიც ძნელად წარმოიდგენდა. მოედანზე შვედები გაბატონდნენ, ინგლისელთა კართან რამდენიმე კუთხური ზედიზედ მოაწოდეს და, რაც ყველაზე მთავარია, ყოველ მათგანს საგოლე მომენტი მოაყოლეს. 51-ე წუთზე მორიგი კუთხურის შემდეგ ოლბაკმა მოხდენილი თავურით ანგარიში გაათანაბრა. ეს გოლი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში მე-2000 აღმოჩნდა, მეათასე კი 1978 წელს ჰოლანდიელი რენსენბრინკისა იყო. თუმცა ამით შვედებს რა — ჯგუფში პირველ ადგილს ხომ მხოლოდ გამარჯვება იძლეოდა. მომდევნო ხუთი წუთი სკანდინავთა შტურმით, ოთხი კუთხურით და ხარიხისთვის ორჯერ გარტყმული ბურთით აღინიშნა — ჯერ ლარსონის, მერე კი მელბერგის დარტყმები სასწაულებრივ არ შევიდა კარში. სვენ გორან ერიკსონმა ალბათ სავსებით ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო: თამაშის რიტმიდან ამოვარდნილი და აშკარად აჭრილი რიო ფერდინანდი მოედანს გაარიდა და დაცვის ცენტრი სოლ კემპელს გადაებარა. შეცვლამ თითქოს გაამართლა, თამაში ჯერ დამშვიდდა, მერე კი თანდათან გათანაბრდა. საგოლე მომენტებს უკვე ორივე გუნდი ქმნიდა, მათგან უნაღდესი კი შვედ კალსტრიომს გაუცუდდა — მის დარტყმულს ორიოდ წუთის წინ შეცვლაზე შესული სტივენ ჯერარდი ზედ კარის ხაზზე გადაეღობა. სიტყვამ მოიტანა და, ჯერარდმა უეინ რუნი შეცვალა, ვინაც ჯერ სათადარიგოთა სკამის პლასტიკის სახურავზე, მერე კი საკუთარ ბუცებზე იყარა ჯავრი.

ბოლო ხუთმა წუთმა ზღვა ემოცია დაიტია. 85-ე წუთზე ჯო კოულმა ლამის თვალდახუჭულმა დაასვა თავზე ბურთი სტივენ ჯერარდს და ტრიბუნების ინგლისური ნაწილი ააღრიალა. თითქოს ეგ არის, უსიამოვნო ტრადიცია დაირღვა, მაგრამ შვედეთს რომ დანებება არ სჩვევია?! ბოლო წუთი იყო, ჰედმანის ჩაწოდებულზე კემპელმა უშნოდ რომ გაიფართხალა ჰაერში, ლარსონი ბურთზე გაიქაჩა და ისედაც უეჭველი გოლი ოდნავი შეხებით საკუთარ აქტივს მიაწერა.

ინგლისი მერვედფინალშია და ეკვადორთან დაიჭერს საქმეს, ამ ეტაპზე გასულთაგან, ალბათ, ერთ-ერთ უსუსტესთან, მაგრამ თუ ბატონი სვენის შეგირდებს ყოველი კუთხური ასე დააპანიკებს, წყვილის ფავორიტზე ლაპარაკი აშკარად გაძნელდება. მერვედფინალშია შვედეთიც. განა საჭიროა შეხსენება, რას ნიშნავს ასეთ ადრეულ ეტაპზე მასპინძელთა გუნდთან ჭიდილი?! არადა, რომ იჭიდავებენ, წყალი არ გაუვა.

ნამატჩევს ოუენის ტრავმისაც ითქვა, მაიკლს მუხლის მყესები აქვს დაზიანებული და შეიძლება, ეკვადორთან მატჩისთვის მომჯობინება ვერ მოასწროსო.

გიორგი ნოზაძე

საბოლოო ცხრილი

ინგლისი	3	2	1	0	5:2	7
შვედეთი	3	1	2	0	3:2	5
პარაგვაი	3	1	0	2	2:2	3
ტრინიდადი	3	0	1	2	0:4	1

პარაგვაი 2:0 ტრინიდადი

№36. 20 ივნისი. 23.00. ჯიზერსლაუტერნი. „ფრიც ვალტერ სტადიონი“. 46 000 მაყურებელი

1:0 სანჩო (25ს.კ.), 2:0 კუევასი (86)

შეცვლა: ე. ჯონი – 15. ჯ. ჯონსი (31), გლენი – 16. ე. უაიზი (41), ვალდესი – 23. კუევასი (66), უიტლი – 10. ლატაპი (67), კასერესი – 15. მანსური (77), კანისა – 14. და სილვა (89)

გაფრთხილება: პარედესი (30), სანჩო (45), უიტლი (48), დოს სანტოსი (54)

მსაჯები: რობერტო როზეტი; კრისტიანო ჯოპელი, ალესანდრო სტანიოლი (იტალია)

18	ჯარიმა	21
7	კუთხური	1
16	კარისკენ დარტყმა	9
9	კარში დარტყმა	2
3	თამაშგარე	3

B ჯგუფი. III ტური

კუნძულთა განძი

სახელი მუვენიერი, კლასი B

ასე და ამგვარად, მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთხოვა ქვეყანა, რომელსაც ულამაზესი სახელი ჰქვია — ტრინიდადი და ტობაგო. ტრინიდადი, ბატონებო, სამებას ნიშნავს და სამება გფარავდეთ ყველა კეთილ საქმეში.

კიდევ, ტრინიდადი და ტობაგო მწვრთნელით გახლდათ მეტად სიმპათიური — ცნობილი ჰოლონდიელი ლეო ბეენჰაკერი თავისი ცოდნითა და დონით აგერ უკვე რამდენი წელიწადია, საყოველთაო სიმპათიას იმსახურებს. გთხოვთ, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ტრინიდადელთა მუნდიალზე მოხვედრა უპირველეს ყოვლისა მისი დამსახურება გახლდათ.



ნელსონ კუევასი წყლით დალოცეს

AFP კიოზერსლაუტერნიდან

და განა პარაგვაისთან თამაშის წინ ბეენჰაკერის შეგირდებს არ ჰქონდათ ჯგუფიდან გასვლის შანსი? როგორ არა, მაგრამ საამისოდ ორგოლიანი უპირატესობით უნდა მოეგოთ, ჯგუფის პარალელურ შეხვედრაში კი შვედეთი ინგლისთან უნდა დამარცხებულიყო. როგორც იცით, არც ერთი მოხდა და არც მეორე.

როგორი თამაში იყო პარაგვაი — ტრინიდადი? ძველებური ჟარგონით რომ ვთქვათ, B კლასის, მაგრამ შეტევ-შემოტევით სავსე. ტრინიდადს, როგორც გითხარით, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ულიტინებდა გულში, პარაგვაის კი კარის გაჯახუნების წყურვილი კლავდა.

წყურვილმა აჯობა. ჯერ 26-ე წუთზე ჩაწნულთმიანმა სანჩომ პარაგვაელთა მიერ საჯარიმოდან ჩაწოდებულ ბურთს თავით თავის კარში მიუჩინა ადგილი, მე-6-ზე კი ნელსონ კუევასმა მეტოქის ნახევარზე მიიღო ბურთი, როკე სანტა კრუზთან კედელი გაითამაშა და დასარტყმელ პოზიციაზე შესული არ შეცდა.

აღსანიშნავია, რომ პარაგვაელებს თავიდანვე მაღალ ჩაწოდებებზე ჰქონდათ აქცენტი გაკეთებული. ნახევარდაცვიდან აწეულ ბურთებს ხან ჰაიდო ვალდესი უხტებოდა და ხან სანტა კრუზი. რაც შეეხებათ ტრინიდადელ და ტობაგოელ მოთამაშეებს, მათზე, მოდი მოკლედ ვთქვათ, რომ თამაში არ აეწყოთ.

ისე, ტრინიდადსა და ტობაგოში ამ ორის გარდა კიდევ 21 პატარა კუნძული შედის, საკუთრივ ტრინიდადი კი ვენესუელიდან სულ 11 კილომეტრშია. ეს ისე, რომ ვიცოდეთ საით მიემგზავრებიან ბეენჰაკერის ბიჭები.

პაპუნა კედია

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

GEO ჯეო

და ღაი-ღაის აბონენტთათვის.

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის კიმნები.

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთაგზეულია ჯეოსელის

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

A ჯგუფი. III ტური

AFP ბერლინიდან

დიდება მიროს!

ეკვადორი ეკვატორითაც კმაყოფილია

შეგვიძლია, ვთქვათ, რომ თამაში 57-ე წუთზე დასრულდა, როდესაც, როგორც იქნა, ლუკაშ პოდოლსკიმაც იხეირა და შვაინშტაიგერისა და ფრიდრიხის მიერ გათამაშებული ქრესტომათიული სამსვლიანი კომბინაცია ეკვადორელთა კარში გატანილი მესამე გოლით დააგვირგვინა. შეგვიძლია, ისიც ვთქვათ, რომ თამაში 44-ე წუთზე დასრულდა — მიროსლავ კლოზემ მიხაელ ბალაკის ცენტრიდან, თრთქოს ხანჯალი გაუყარესო, ისეთი გამჭოლი პასი შეირგო, ეკვადორელ მცველსა და მეკარეს აჯობა და მატჩში მეორე, ხოლო ამ მუნდიალზე მეოთხე გოლი გაიტანა. არც იმ შემთხვევაში შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ თამაშის ბედი უკვე მეოთხე წუთზე გადაწყდა — კლოზემ შვაინშტაიგერის პასით გერმანელთა ლამაზი ოთხსვლიანი კომბინაცია დაასრულა. და, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ თამაშის ბედი თამაშამდე გადაწყდა, ანუ ყველაფერი უკვე მაშინ გახდა ნათელი, ეკვადორელთა საამმატჩო შემადგენლობა რომ გაცხადდა.

ლუის სუარესმა მიზეზთა და მიზეზთა გამო ძირითადი თერთმეტეულის ნახევარი მოედანზე არ გაიყვანა. ურტადო, დელეგადო, რეასკო, კასტილიო, კარლოს ტენორიო — ესენი მოედანზე არ იყვნენ და ეკვადორელთა დუბლშემადგენლობის ძლევა გერმანელებს რომ არ გაუჭირდებოდათ, ამაში ეჭვი არავის შეპარვია. არა, იურგენ კლინსმანის გუნდი დიდი ალბათობით დელეგადოიან-ტენორიოიან ეკვადორსაც მოუგებდა, მაგრამ ამათ გარეშე ნულოვანი ჰორიზონტალის ქვეყნის შვილების შანსი მართლაც რომ ნულის ტოლი იყო.

ისე, სუარესს ვერც გავამტყუნებთ. ზოგს ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული, ზოგს მცირე ტრავმა და, რაც ყველაზე მთავარია, ეკვადორმა ამ ჩემპიონატზე თავისი გასაკეთებელი უკვე გააკეთა. მუნდიალზე მეორედ მყოფმა გუნდმა ჩემპიონატის ეკვატორი, ანუ ჯგუფური ბარიერი გადალახა და — ოცნებას კაცი არ მოუკლავსო — სუარესმაც, მასპინძლებს მაინც ვერ ვაჯობებ და ამიტომ ხალხს დავასვენებ, იქნებ მერვედფინალში ერთიც გავისროლოთო.

ნეტარ არიან მორწმუნენი და, სუარესის შორსმჭვრეტელობი უნარსა რამდენიმე დღეში მოეფინება ნათელი. მანამდე კი გერმანელებზე ვთქვათ და, პირველ რიგში, დიდება მიროს! მიროსლავ კლოზე მიხაელ ბალაკთან ერთად მართლაც გამორჩეული ფიგურაა კლინსმანის გუნდში და ამ გუნდის თამაში უმეტესწილად სწორედ ბალაკის ტვინსა და კლოზეს საგოლე ალღოზეა დამოკიდებული. კარგ გარჯას ნურც სხვებს დავუკარგავთ და ბალაკთან ერთად სხვა ნახევარმცველებიც უნდა ვახსენოთ. შვაინშტაიგერი, ფრინგსი და შნაიდერი თავიანთ კაპიტანთან ერთად უაღრესად კომპაქტურად მოქმედებდნენ მოედნის ცენტრში და ეკვადორელებს გასაქანს არ აძლევდნენ. სწორედ ამის გამო იყო, ლათინოსები ძირითადად ფლანგებიდან, უფრო სწორედ კი, მათი შეტევის მარჯვენა, ანუ გერმანელთა მხრიდან თუ ვიტყვით, ფილიპ ლამის მხრიდან ცდილობდნენ პირველ ტაიმში რაღაცის გაკეთებას. ამ მცდელობებს, მატჩის დებიუტშივე ლუის ვალენსიას გარღვევასა და ჩაწოდებელს თუ არ ჩავთვლით, სახეირო არაფერი მოჰყოლია და მაშინათვე კლოზემაც გახსნა ანგარიში.

ეს მეოთხე წუთზე მოხდა და თამაში, როგორც ვთქვით, ერთხელაც დამთავრდა. თანაც, სუარესისგან განსხვავებით, კლინსმანმა უძლიერესი შემადგენლობა ათამაშა, ერთ ცვლილებას თუ არ ჩავთვლით — ყვითელბარათიანი მეტცელდერის ნაცვლად სასტარტოში „ინგლისელი“ ჰუთი ვიხილეთ. აი, მეორე ყვითე ლბარათიანს კი კლინსმანი არ გაუფრთხილდა. ოღონდაც, ეს მეორე ბალაკი იყო და მის გარეშე კი დღევანდელი გერმანიის ნაკრები წარმოუდგენელია.

ბალაკი, კლოზე, მაქსიმალურად ინტენსიური, მაქსიმალურად სწრაფი თამაში და ჯიგარი, აზარტი, გერმანული სული და ტრიბუნებიდან წამოსული აურა, რომელიც გაიძულებს, არ გაჩერდე, ნებისმიერ ორთაბრძოლას ბოლომდე მიჰყვე — აი, დღევანდელი გერმანიის ნაკრები და სადამდე გავლენ ამ ყველაფრით კლინსმანის ბიჭები, ამასაც მალე შევიტყობთ.

თავად კლინსმანი კი უკვე მოუთმენლად ელის პლეი ოფის დაწყებას. „როდესაც სახლში თამაშობ, ტრიბუნების ფანტასტიკურ მხარდაჭერას გრძნობ და ეს ფეხბურთელებისთვის უდიდესი სტიმულია. ეს საფეხბურთო ციებ-ცხელებაა და ამ ციებ-ცხელებაში ჩვენ პირველ მიზანს მივაღწიეთ — ჯგუფში პირველი ადგილი გვინდოდა და ეს ამოცანა შესრულებულია. ჩვენ მაღალი ტემპით დავიწყეთ თამაში და, მართალია, ძალზე ძნელი იყო ამ ტემპის ბოლომდე შენარჩუნება, მაგრამ, მიუხედავად სიცხისა, ფაქტობრივად, ბოლომდე შევძელით ამის გაკეთება. როგორც თამაშით, ისე შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ და მოუთმენლად ველი საპლეიოფო ბატალიების დაწყებას“ — აი, ასეთი სიტყვები თქვა მატჩის შემდეგ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა, თუმცაღა, ისიც ხომ ფაქტია, რომ თექვსმეტი წლის წინ მოპოვებული ტიტული დღეს აღარავის ახსოვს. დღეს გერმანიაში 9 ივლისის ფინალსა და იქ გამარჯვებას ითხოვენ და ვნახოთ, რამდენად შეასრულებენ კლინსმანის რჩეულნი ერის სურვილსა და მოთხოვნას.

გიორგი ბერიძაშვილი

საბოლოო ცხრილი

გერმანია	3	3	0	0	8:2	9
ეკვადორი	3	2	0	1	5:3	6
პოლონეთი	3	1	0	2	2:4	3
კოსტა რიკა	3	0	0	3	3:9	0

ეკვადორი 0:3 გერმანია

№33. 20 ივნისი. 18.00. ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი“. 72 000 მაყურებელი

0:1, 0:2 კლოზე (4, 44), 0:3 პოდოლსკი (57)



შეცვლა: ბორხა – 23. ე. ბენიტესი (46), ვალენსია – 7. ლარა (63), ფრინგსი – 18. ბოროვსკი (66), კლოზე – 10. ნოიენლი (66), აიოვი – 6. ურუტია (68), შნაიდერი – 14. ასამოა (73)

გაფრთხილება: ვალენსია (52), ბოროვსკი (75)

მსაჯები: ვალენტინ ივანოვი;
ნიკოლაი გოლუბევი, ევგენი ვოლნინი (რუსეთი)

22	ხარიმა	18
5	კუთხური	2
7	ყარისყენ დარტყმა	15
2	ყარში დარტყმა	9
0	თამაშგარე	3



AFP ბერლინიდან

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ერთიანული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი. III ტური



AFP ბანოგრიდან

კოსტარიკელთა კარს ორჯერვე ზუსტად ბარტოშ ბოზაცკიმ დაუმიზნა

კოსტარიკტაფელა ბოზაცკიმ მოიგო

უმოტივაციო მეტოქეებმა თამაში ისე დაიწყეს, კაცს გული არ მიგივიდოდა, თუმცა სადებიუტო ქაოსს ბოლო მალევე მოეღო და შეხვედრაც შედარებით საინტერესო გახდა. უფრო აქტიურად პოლონელები ბურთაობდნენ და უპირატესობაც მათი იყო, მაგრამ...

25-ე წუთზე კოსტარიკელთა იერიშს ჯარიმა მოჰყვა, რომელიც რონალდ გომესმა შეასრულა. ბურთი ცოცხალ კედელში გაძვრა, რამაც არტურ ბორუცი დააბნია, პოზიციადაკარგულსბურთმა სანტიმეტრებში ჩაუფრინა და ანგარიში გაიხსნა.

პოლონელები არ დაბნეულან და მალევე ერთი მწვავე მომენტი მიაყოლეს. მერე გოლის გამტანმა გომესმა ორჯერ ზედიზედ მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და საჯარიმოში კარგადაც ჩააწოდა, მაგრამ თანაგუნდელებმა ორჯერვე უმტყუნეს, ცოტა ხანში კი ანგარიშიც გათანაბრდა — პოლონელებმა კუთხური ჩააწოდეს, მეკარე ხოსე პორასი გამოსვლაზე შეცდა და ბარტოშ ბოზაცკის დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა, რის მერეც კარის ხაზიც გადაკვეთა.

ევროპელები შეტევას კი აგრძელებდნენ, მაგრამ გადამწყვეტ დარტყმამდე საქმე ისევ იშვიათად მიდიოდა. ტაიმის მიწურულს მაცეი ჟურავსკის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ დარტყმა დაახანა: ორი მცველი კი ჩამოიტოვა, თუმცა ბურთზე ფეხი მაინც დაუფარეს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ კოსტარიკელები უხასიათოდ თამაშობდნენ და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც — 66-ე წუთზე პოლონეთმა მეორე შეაგდო. გოლი ისევ კუთხურს მოჰყვა, პორასი ამჯერადაც შეცდა, ბოზაცკიმ კი თავით დაარტყა და დუბლი გაიფორმა.

საინტერესოა, რომ ბოზაცკიმ მუნდიალამდე სულ რამდენიმე დღით ადრე გაიგო, რომ გერმანიაში მიემგზავრებოდა. მწვრთნელს დამიან გორავსკი ჰყავდათ შეგულებული, მაგრამ ბოლო მომენტში ექიმებმა მას გულთან დაკავშირებული პრობლემები აღმოუჩინეს და არ გაუშვეს.

დარჩენილ დროში საინტერესო ბევრი აღარაფერი მომხდარა. მხოლოდ სამი ეპიზოდის გამორჩევა შეიძლება. 83-ე წუთზე პაულო ვანჩოპემ კარგი პასი მიიღო, ყველაფერი ოსტატურად გააკეთა და გოლიც შეაგდო, მაგრამ თამაშგარეში აღმოჩნდა. იგი პოლონელ მცველზე რამდენიმე სანტიმეტრით წინ იყო და თანამსაჯმაც მართებულად აღმართა ალამი. შეცვლაზე შესულ პაველ ბროზეკს კი მატჩის მიწურულს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ერთხელაც ვერ ივარგა.

ამ გამარჯვებით პოლონელები ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდნენ, რაც წარმატებად არ ჩაეთვლებათ. მაგრამ მეოთხე ადგილს მაინც ჯობია. თანაც პაველ იანაშს პოსტის შენარჩუნება სურს და ეს სამი ქულა ამისთვის გვარიანად დაეხმარება. აი, კოსტარიკელთა ბოლო ადგილი კი, ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკური და სამართლიანია. ალეშანდრე გიმარაეშის შეგირდებმა მართლაც უსუსტესის შთაბეჭდილება დატოვეს.

პაველ იანაში: გვაკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ გოლი ვერ გაგვქონდა, მაგრამ დღეს დავამტკიცეთ — გატანა ჩვენც ვიცით. ბედნიერი ვარ, რადგან გუნდმა ზედმიწევნით კარგად შეასრულა დავალება. მე უფრო ფორვარდებისგან ან ნახევარმცველებისგან ველოდი გოლებს და ცოტა უცნაურია, რომ ცენტრალურმა მცველმა ორი გაიტანა.

ალეშანდრე გიმარეში: ყურადღებით ვერ ვითამაშეთ. დაცვაში სიმტკიცე გვაკლდა და გოლებიც ამის შედეგია, პოლონეთი ელოდა შანსებს და გამოიყენა კიდეც".

ლუის მარინი: ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ მეტოქემ ფიზიკურად დაგვჯაბნა და კუთხურისას სახიფათო მომენტებს იოლად ქმნიდა. თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ. უქულოდ შინ დაბრუნება საწყენია, თუმც მაინც თავაწეულები მივდივართ.

გიორგი ძაძაბაძე

კოსტა რიკა 1:2 პოლონეთი

№34. 20 ივნისი. 18.00. ჰანოვერი. „AWD არენა". 43 000 მაყურებელი

1:0 გომესი (25), 1:1, 1:2 ბოზაცკი (33, 66)



შეცვლა: ჟურავსკი – 23. ბროზეკი (46), რადომსკი – 18. ლევანდოვსკი (64), დრუმონდი – 15. უოლესი (70), ბოლანოსი – 19. საბორიო (78), გომესი – 16. ჯ. ერნანდესი (82), შმოლარეკი – 11. რასიაკი (85)

გაფრთხილება: უმანა (17), რადომსკი (18), ბაკი (24), ქვლაკოვი (29), მარინი (45), რ. გომესი (45), ბადილა (56), ბაშინსკი (60), გონსალესი (76), ბორუცი (90)

მსაჯები: შამსულ მაიდინი (სინგაპური); პრაჩია პერმპანიჩი (ტაილანდი), ელისა ლულუმი (საამიროები)

12	ჯარიმა	20
2	კუთხური	8
12	ჯარისკენ დარტყმა	10
5	ჯარში დარტყმა	7
4	თამაშგარე	1



თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეაალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი ჰროთ. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად
დაშედეგით
კმაყოფილი დარჩები

- უთასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
- გარანტირებული მეიგები
- უახლესი ტრანსპლანტული ტექნოლოგიები

HAIRLINE INTERNATIONAL

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამერიკა-კავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამეუნაროო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. C ჯგუფი. III ტური

სად ასულან?!

პეპერმანი: ჩამოდით, არ ჩამოვარდეთ

ერნან კრესპო

ჰოლანდია — არგენტინა

ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი“. 23.00

1. ვან დერ სარი; 12. კრომკამპი, 13. ოიერი, 2. ჯალენსი, 15. დე კლერი; 6. ლანძაატი, 20. სნეიდერი, 8. კოკუ; 7. კუიტი, 9. ვან ნისტელროი, 17. ვან პერსი მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი	1. აბონდანსიერი; 21. ბურდისო, 2. აიალა, 15. მილიტო, 3. სორინი; 18. მაქსი როდრიგესი, 4. კოლოჩინი, 5. კამბიასო, 16. აიმარი; 11. ტევესი, 20. კრუზი მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

პეკერმანი მესის არიგებს

არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო თანაგუნდელებს ახსენებს, რომ მათ ჯერ არაფერი მოუგიათ. ერთი სიტყვით, არგენტინა ეიფორიას და მის ცუდ გავლენას უნდა ერიდოს, არადა ეიფორიის ცდუნება აქვს — კოტ დივუართან 2:1-ის შემდეგ სერბეთ-ჩერნიგორიასთან ფეიერვერკული 6:0.

„სერბებთან გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არაფრის გარანტიას არ იძლევა. კარგად ვთამაშობთ? რა თქმა უნდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ ბევრია“ — ამბობს ფორვარდი წინა ორი მუნდიალის მწარე გამოცდილებით.

მიწაზე დაბრუნებას ეცდრება თავის ბიჭებს მწვრთნელი ხოსე პეკერმანიც, ხოლო მეორე ფორვარდი, ხავიერ სავიოლა ბრძოლის იშტაზეა: „ეს იქნება მოგებისთვის მებრძოლი ორი გუნდის შეხვედრა. არც ჩვენ და არც ჰოლანდიელები არ დაგიდევთ ვის შევხვდებით მერვედფინალში და არ დავიწყებთ იმის გათვლას, რომელ ადგილზე გვიჯობს ჯგუფში გასვლა“.

ასე და ამგვარად, დღეს ფრანკფურტში C ჯგუფი პირველ-მეორეს გაარკვევს. ელიან შემტევი და ლამაზი ფეხბურთის მიმდევარი ორი გუნდის, ფსიქოლოგიური მარწუხებისგან განთავისუფლებულ თამაშს, რომელსაც დიდი ისტორია უძღვის წინ. დასაწყისისთვის გაიხსენეთ „მსუბუქი“ ამბავი, 1998 წლის მუნდიალის მეოთხედფინალი, როდესაც საუცხოო ფორმაში მყოფმა დენის ბერხკამპმა საოცარი სილამაზის გოლით 2:1 მოაგებინა ნარინჯისფერებს. მაშინ არგენტინის ნაკრების მწვრთნელი დანიელ პასარელა გახლდათ, 20 წლით ადრე, 1978 წელს კი პასარელამ, როგორც კაპიტანმა აღმართა მსოფლიოს თასი და ფინალში სწორედ ჰოლანდიას სძლია 3:1. კიდევ იყო ერთი შეხვედრა 1974 წელს, როდესაც ჰოლანდიაში იოჰან კრუიფი თამაშობდა, სათავეში კი გუნდს ლეგენდარული რინუს მიხელსი ედგა, ტოტალური ფეხბურთის მამა. მოგეხსენებათ, 1974 წლის მუნდიალი ახლანდელის მსგავსად გერმანიაში ჩატარდა. თამაში, რომელიც ნარინჯისფერებმა 4:0 მოიგეს, გელზენკირხენში გაიმართა, იქ, სადაც რამდენიმე დღის წინ არგენტინამ სერბეთ-ჩერნიგორიას 6:0 გადაურბინა.

მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვს. ცხადია, მეტოქეები დღეს დაღლილებს და დაშავებულებს დასვენებენ. აგრეთვე არ ითამაშებენ ერთყვითლიანები, რომლებიც პლეიოფში ამ გაფრთხილებისგან თავისუფლდებიან და ამიტომ მათ რისკს მოარიდებენ. ჰოლანდიელებს ასეთი ექვსი ჰყავთ, არგენტინელებს — სამი.

„ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავს და მატჩიც ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ მწვრთნელს რისკის გაწევა არ უნდა“ — თქვა სწორედ ამ თემაზე საუბრისას, გამთამაშებელმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა.

პაპუნა კედია

ფეხი დავადგათ მუნდიალს

ვითამაშოთ და დავიშალოთ

კოტ დივუარი — სერბეთი

მიუნხენი. „ალიანს არენა“. 23.00

1. ტიზიე; 21. ებუ, 4. კ. ტურე, 12. მეიტე, 3. ბოკა; 2. აკალე, 19. ი. ტურე, 5. ზოკორა, 22. რომარიკი; 9. ა. კონე, 14. ბ. კონე მწვრთნელი: ანრი მიშელი	1. ჟევრიჩი; 13. ბასტა, 6. გავრანჩიჩი, 20. კრსტაიჩი, 3. დრაგუტინოვიჩი; 4. დულიაი, 2. ერგიჩი, 10. სტანკოვიჩი, 18. ვუკიჩი; 19. ჟიგიჩი, 21. ლიუბოია მწვრთნელი: ილია პეტკოვიჩი

მსაჯი: მარკო როდრიგესი (მექსიკა)

მილოშევიჩი და კრსტაიჩი ნაკრებიდან მიდიან

სერბეთი და ჩერნიგორია დღეს საღამოს, მსოფლიოს ჩემპიონატსა და ერთმანეთს დაემშვიდობებიან — სულ ცოტა ხნის წინ, ჩერნიგორიაში ჩატარებულმა რეფერენდუმმა, ყოფილი იუგოსლავიიდან მოკავშირეებად შემორჩენილი ეს რესპუბლიკები გაყარა და, შესაბამისად, მათი ნაკრებებიც დააცილა. სერბ-ჩერნიგორიელთა მეტოქე კი კოტ დივუარია, მეტად სიმპათიური, მაგრამ მუნდიალს ასევე უკვე გამოთიშული, რომელიც სავარაუდოდ მეორე შემადგენლობით გავა მოედანზე. C ჯგუფის გამარჯვებულები კი არგენტინა და ჰოლანდია არიან.

„ძალიან ძნელია ასეთ შეხვედრაში მონდომებით ითამაშო — თქვა სერბმა თავდამსხმელმა სავო მილოშევიჩმა — ვცადეთ ვარჯიშებს სერიოზულად მოვკიდებოდით, მაგრამ მორალურად განადგურებულნი ვართ.“

ცნობისათვის, მილოშევიჩი კოტ დივუართან თამაშის შემდეგ სანაკრებო ფეხბურთს თავს ანებებს. ამასვე აპირებს მცველი მლადენ კრსტაიჩიც, რომელიც „შალკეში“ ლევან კობიაშვილის თანაგუნდელია.

„თავიდან, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატამდე მინდოდა დავრჩენილიყავი ნაკრებში, მაგრამ აზრი შევიცვალე და გადავწყვიტე ახლა, ოთხშაბათს ბოლო მატჩი ჩავატარო. დროა ეროვნულ გუნდში ახალგაზრდები მოვიდნენ“.

არადა, რამდენადაც ცნობილია, ყოფილი იუგების მწვრთნელს ილია პეტკოვიჩს ბოლო თამაშში თავისი ქომაგებისთვის ხალისის და სილაღის მიძღვნა სურს, თუმცა ამდენი ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის პატრონს, მითუმეტეს საერთო უხასიაფობის ფონზე, საეჭვოა ეს გამოუვიდეს. დაშავებულნი კი არიან: ივიცა დრაგუტინოვიჩი, დუშან ბასტა, ალბერტ ნადი და დანიელ ლიუბოია. მათ ემატებიან დისკვალიფიცირებულნი: მატეა კეუმანი და ოგნიენ კორომანი.

კოტ დივუარელები კი მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გავარდნილები არიან, მაინც არ უჩივიან გუნებ-განწყობას და მოგებას აპირებენ.

„ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა შეჯიბრება გამარჯვების გარეშე არ დავტოვოთ — ბრძანა „სპილოების“ მწვრთნელმა ფრანგმა ანრი მიშელმა — თან, მინდა ამ შეხვედრაში შანსი მივცე იმ ფეხბურთელებს, რომელთაც მუნდიალის მინდვრებზე ჯერ არ დაუდგამთ ფეხი. მინდა აქ ჩამოყვანილმა ყველა კოტდივუარელმა თქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნათამაშები აქვს“.

კოტ დივუარის ნაკრებში დაშავებული არავინაა, კაპიტანი დიდიე დროგბა კი დისკვალიფიცირებულია.

პაპუნა კედია

არგენტინა	2	2	0	0	8:1	6
ჰოლანდია	2	2	0	0	3:1	6
კოტ დივუარი	2	0	0	2	2:4	0
სერბეთი	2	0	0	2	0:7	0

დროგბა დღეს ვერ ითამაშებს

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. D ჯგუფი. III ტური

ორიგინალი ბიბლიოთეკა

ფრანგ-ფრანგით მერვედფინალისკენ

თითო ქულა ორივეს დაუჯურებს

პორტუგალია —მექსიკა

გელზენკირხენი. „აუფ შალკე“. 18.00

1. რიკარდუ; 13. მიგელი, 5. ფ. მეირა, 16. რ. კარვალიუ, 14. ნუნუ ვალენტე; 8. პეტიტი, 18. მანიშე; 17. კ. რონალდუ, 7. ფიგუ, 11. სიმაო; 21. ნუნუ გომეში
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

1. ო. სანჩესი; 16. მ. მენდესი, 5. ოსორიო, 4. მარკესი, 3. სალსიდო; 6. ტორადო, 7. ზინია, 8. პარდო, 14. პინედა; 10. გ. ფრანკო, 19. ბრავო
მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

იმისთვის, რომ ორივე ნაკრები კმაყოფილი დარჩეს, ამ შეხვედრაში ფრეა საჭირო. შედეგად, პორტუგალიაც მერვედფინალში გავა და მექსიკაც, ხოლო ვინ პირველი იქნება და ვინ მეორე, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ბედის საჩუქარი არც არგენტინაა და არც ჰოლანდია. თუმცა არგენტინელები ახლა ბრწყინვალე ფორმაში არიან და მათთან შეხვედრა არავის გაუხარდება.

პორტუგალიელთა მთავარი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი, ალბათ, სამ მთავარ მოთამაშეს დაასვენებს. კოშტინიამ, დეკომ და პედრო პაულეტამ თითო ყვითელი ბარათი უკვე მიიღეს და მექსიკასთანაც რომ იუხეშონ, მერვედფინალის გამოტოვება მოუწევთ. ამიტომ „დიდ ფილს“ გარისკვა არ სურს.

ლუზიტანთა ტაქტიკა კვლავ 4-2-3-1 იქნება. გამოკვეთილ ფორვარდად ამჯერად ნუნუ გომეში მოგვევლინება. მას კრიშტიანუ რონალდუ, ლუიშ ფიგუ და სიმაო საბროსა მიეხმარებიან. თუმცა არ არის გამორიცხული, სკოლარიმ 33 წლის ფიგუს დასვენებაც გადაწყვიტოს.

მექსიკელთა შემადგენლობა ისეთივე იქნება, როგორიც ანგოლასთან ვერმოგებულ მატჩში იყო. შესაბამისად, ტაქტიკაც იგივე— 5-3-2. რიკარდო ლავოლპე კვლავ ვერ დაიხმარს ტრავმირებულ მეგოლე ხარედ ბორგეტის. სხვა დაშავებული ფეხბურთელი არც ერთი ნაკრების შემადგენლობაში არ არის.

„მერვედფინალში 1966 წლის მერე არ გავსულვართ და ახლა ეს შევძელით. ასე რომ, სწორ გზას ვადგავართ და მექსიკასთან თავისუფლად ვითამაშებთ“ — აღნიშნა დეკომ, რომელიც ირანთან მატჩში საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

პორტუგალიელთა მცველი მიგელი: „ჩვენი მიზანი პირველ ადგილზე გასვლაა და მოსაგებად ვითამაშებთ. თუ ეს შევძელით, მერვედფინალისთვის მოსამზადებლად ერთი დღით მეტიც გვექნება“.

„მშვიდად ვითამაშებთ, მაგრამ პირველი ადგილის დაკარგვა არ გვსურს. თავის მხრივ, მექსიკას, რომელიც ძლიერი გუნდია, ჭულა სჭირდება. ასე რომ, წესით, კარგი და ლაღი თამაში უნდა გამოვიდეს“ — თქვა პორტუგალიელთა ნახევარმცველმა ტიაგუმ.

„მუნდიალზე იღბლის დახმარებაც განსაკუთრებით გჭირდება, თორემ ბურთი ყოველთვის კარში არ შედის, გინდაც დიდი უპირატესობა გქონდეს. ფეხბურთელებთანაც სასაყვედურო ბევრი არაფერი მაქვს. ისინი ცუდად არ ირჯებიან. პორტუგალიასთან და, საერთოდ, ყველა შეხვედრაში, უფრო მეტი ყურადღება ჩვენს თამაშზე უნდა გავამახვილოთ და კონცენტრაცია ამაზე გავაკეთოთ, ვიდრე მეტოქეზე ვიფიქროთ“ — ეს კი მექსიკელთა თავკაც რიკარდო ლავოლპეს სიტყვებია.



ნუნუ გომეში და კრიშტიანუ რონალდუ

„ჩვენ სამი ქულა გვინდა და მოგებაზე უნდა ვითამაშოთ. მართალია, ქულაც გვყოფნის, მაგრამ ფრეზე ფიქრისას მეტი შანსია, წააგო. აე რომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ“ — განაცხადა მცველმა მარიო მენდესმა.

მენდესის აზრს იზიარებს პაველ პარდოც: „ჩვენ უნდა მოვიგოთ და გავიდეთ ნახევარფინალში, მხოლოდ ამაზე ვფიქრობთ. ახლა მათემატიკური გათვლების დრო არ არის. უბრალოდ, გამარჯვებისთვის უნდა ვითამაშოთ“.

გიორგი კაკაბაძე



პედრო პაულეტა დაისვენებს

ანგოლა — ირანი

ლაიპციგი. „ცენტრალშტადიონი“. 18.00

1. ჟოაო რიკარდო; 20. ლოკო, 3. ჟამბა, 5. კალი, 21. დელგადო; 17. ზე კალანგა, 15. რუი მარკეში, 7. ფიგეირედო, 11. მატეუში, 14. მენდონკა; 10. აკვა
მწვრთნელი: ლუიშ გონსალვეში

1. მირზაპური; 13. კაები, 5. რეზაეი, 3. ბახტიარიზადეჰი, 20. ნოსრატი; 2. მაჰდავიკია, 8. ქარიმი, 7. ზანდი, 21. მადანჩი; 14. თეიმურიანი; 9. ჰაშემიანი
მწვრთნელი: ბრანკო ივანკოვიჩი

მსაჯი: მარკ შილდი (ავსტრალია)

ფაბრის აკვა

ოცნებას ანგოლა არ მოუკლავს

ნაბატონარი ნაყმევს დაეხმარება?

პორტუგალიის ყოფილ კოლონიას, ანგოლას, იმედი აქვს, რომ ლუზიტანები ამჯერად დაეხმარებიან და დაამარცხებენ მექსიკას. თავად აფრიკელებმა კი უკვე ჯგუფში ჩარჩენილ ირანს უნდა მოუგონ და თუ ბურთების სხვაობაც სათანადო ექნებათ, მერვედფინალში სწორედ ისინი გავლენ და არა მექსიკა.

ანგოლა პირველ ორ თამაშში ცუდად ნამდვილად არ გამოიყურებოდა, მაგრამ გოლის გატანა ძალიან უჭირს. ამის მთავარი მიზეზი კი ლუის გონსალვეშის ზედმეტად დაცვითი ტაქტიკა 4-5-1-ია. თუმცა აზიელებთან მატჩისას გონსალვეშს, ალბათ, აუცილებლად მოუწევს მისი 4-4-2-ად გადაკეთება და ეულ ფორვარდ აკვასთვის მეორე თავდამსხმელის, სავარაუდოდ, ბენფიკელი პედრო მანტორაშის შეწყვილება.

„ჩვენ გოლების გატანა გვჭირდება და ამიტომ შეტევაში უფრო აგრესიულად მოგვიწევს თამაში. ალბათ, ტაქტიკასაც გადავაწყობთ. ირანთან ადვილი მატჩი არ გველის. აზიელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ და ყველანაირად ეცდებიან, მესამე მატჩიც არ წააგონ“ — განაცხადა გონსალვეშის თანაშემწემ ალვრო და ალმეიდა მაბიმ.

აფრიკელების ერთადერთი დანაკლისი ანდრე მაკანგაა, რომელიც მექსიკასთან გააძევეს და დისკვალიფიცირებულია. მას რუი მარკეში შეცვლის. ირანელების დანაკლისი კი გაცილებით დიდია. ტრავმის გამო, ალბათ, კვლავ ვერ ითამაშებს მათი მთავარმეგოლე და ვეტერანი კაპიტანი ალი დაეი. ჯავად ნეკუნამს ორი ყვითელი ბარათის გამო მატჩის გამოტოვება მოუწევს. დაშავებულია გოლმოჰამადიც და, სავარაუდოდ, ასევე ვერ გავა მინდორზე. ფერიდონ ზანდი კი, რომელსაც ტრავმაც ჰქონდა და გრიპიც, მომჯობინებულა.

ფერიდონ ზანდი: „გვინდა, მუნდიალი მოგებით დავტოვოთ. ახლა შეგვიძლია ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, თავისუფლად ვითამაშოთ. შესაძლოა, ჩვენი წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც, სწორედ, დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო, რომელსაც აქამდე განვიცდიდით“.

ანგოლელთა კაპიტანი აკვა: „ახლა საკუთარ შესაძლებლობებში დავრწმუნდით და გვჯერა, რომ წარმატების მიღწევა ძალგვიძს. თუ ირანთან მოგება გვინდა, მატჩი აუცილებლად პირველი წუთებიდან უნდა გავაკონტროლოთ. ჯერ კიდევ გვაქვს მერვედფინალში გასვლის შანსი და რატომ არ ვიოცნებოთ?“

აფრიკელთა 36 წლის მეკარე ჟოაო რაიკარდო კი უკვე კმაყოფილია იმით, რომ მისმა ქვეყანამ სახელი გაითქვა. საინტერესოა, რომ იგი ამჟამად უკლუბოდაა, მაგრამ ეს ჩინებულად თამაშში ხელს სულაც არ უშლის და მექსიკასთან შეხვედრაში მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს.

„როდესაც გერმანიაში მოვდიოდით, ორი მთავარი მიზანი გვქონდა — მიგვეცა სიამაყის საფუძველი ჩვენი ქვეყნისთვის და მთლიანად კონტინენტისთვის. ვფიქრობ, ეს შევძელით, რაც ძალიან მახარებს. ანგოლას ურთულესი პერიოდის გადატანა მოუხდა და ამ წარმატებით მილიონობით ადამიანი ვასიამოვნეთ. რა არის ჩემი მიზანი? ირანთან მოგება! ახალ კლუბზე ჯერ არ ვფიქრობ“ — თქვა რიკარდომ.

	ქულები					
						კანდელაბი
პორტუგალია	2	2	0	0	3:0	6
მექსიკა	2	1	1	0	3:1	4
ანგოლა	2	0	1	1	0:1	1
ირანი	2	0	0	2	1:5	0

გიო ახვლედიანის სვეტეული

აფრიკა სახლში მიდის



ჰიქიან-პაპიროსიანი ლა ვოლპე ცოდვათა მიტევებას ფიფას კი არა, გვადალუპეს ღვთისმშობელს შესთხოვს

AFP

დიდიე დროგბა და ბაყარი კონე: ჩვენი დროც მოვა!

AFP

რაც გინდა, ისა თქვი და, მწვრთნელებმა კარგი მეგობრობა და ხელის გამართვა იციან. მტრობაც, რასაკვირველია.

გუშინ დილით ლარს ლაგერბეკი ამბობდა, სვენი ისეთ დღეში უნდა ჩავაგდო, თავისი ხუთმილიონიანი ხელფასისა შერცხვესო.

გუშინვე, უფრო სწორად, მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ლეო ბეენჰაკერმა შვიდჯერ დაურეკა იმავე სვენს და შვედთა ძლევის ხრიკები შესთავაზა.

რა გამოვიდა აქედან, ყველამ წუხელ ვუყურეთ.

მეგობრობაც და მტრობაც საქმიდან გამომდინარეობდა: ლეოს პარაგვაელთა ძლევა და შვედთა წამოწევა უნდოდა, ლაგერბეკს კი გასაგებია, რაც. სვენს რაღა უნდოდა? მგონი, სვენი უკვე მადრიდშია და, საერთოდაც, ის ნაწყენია ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაზე, თუმცა, როგორც შვედს, თავი უჭირავს.

აბა, წარმოიდგინეთ მის ადგილას ის განუმეორებელი რიკარდო ლა ვოლპე რომ ყოფილიყო. მექსიკელთა მწვრთნელზე ვამბობ. წარმოიდგინეთ, რომ სინიორ ლა ვოლპე იანვარში დაეთხოვათ და ეთქვათ, თან დათხოვნილი ხარ, თან მუშაობ, მსოფლიო თასის შემდეგ კი წახვალო. ფიფას შეუმჩნევია, რომ ლა ვოლპე ბევრს ეწევა და თამაშის დროსაც აბოლებს. იაპონია-კორეის სტადიონებზე მწეველი მწვრთნელი არ დაგვილანდავს, თუმც კი ცნობილია, რომ ბევრი მათგანი თამბაქოს მოყვარულია. აქ ერთბაშად რამდენიმე ცნობილი მწეველი გამოჩნდა, მარჩელო ლიპის თამადობით: სულ ელეგანტური ბიძები.

ჰოდა, ფიფას ლა ვოლპეს პაპიროსიანობა არ მოსწონებია და უბრძანებია, თამაშის დროს წევა შეწყვიტეო. ნერვებს რა ვუყოო, დაუჩივლია მექსიკელთა მესაჭეს, თუმც გამოსავალი უპოვნია — ვითარცა ნამდვილ კათოლიკეს — როდესაც ძალიან აველლდები და მოწევა მომინდება, გვადალუპეს ღვთისმშობელს მივმართავ ლოცვით და ის დამეხმარებაო.

გვადალუპეს ღვთისმშობელი, ლურდესის ღვთისმშობელი, ფატიმას ღვთისმშობელი... მათდამი მიმართვა სამხრეთელ ფეხბურთელებს აიმედებთ. მათდამი კი არა მისადმი. ფატიმა პორტუგალიაშია. პორტუგალია მექსიკას ხვდება და ანგოლას კი სურს, რომ პორტუგალიამ მექსიკას მოუგოს, ხოლო თავად ირანელები სძლიონ ბევრი ბურთით. ანგოლელები პორტუგალიელების ხელქვეით იყვნენ და მათ ენაზე ლაპარაკობენ. ეს ისე, ახირებული მეფსონეებისთვის. ფეხბურთის გარეთ რაღაცეების საძებნად.

აფრიკა კი ეთხოვება მსოფლიო ჩემპიონატს: ტოგო, კოტ დივუარი, ალბათ ანგოლაც. განელთა საქმე გასარკვევია. აფრიკელებს ამდენი მაგარი ფეხბურთელი ჰყავთ, ასეთ ჯანზე არიან და საერთოდ, კარგი გუნდები ჰყავთ. ანგოლა, მაგალითად, კარგადაა ორგანიზებული, კოტ დივუარი საუცხოო ეპიზოდებს გვიტოვებს, ტოგოელებს ტექნიკური თავდამსხმელები ჰყავთ... მაგრამ ყველა ამათგანს ერთი ნაკლი უჩანს. ისინი მეტოქეს ელოდებიან და გოლს რომ გაუშვებენ, მერეღა ცდილობენ თამაშის სადავეების დათრევას. კოტ დივუარი ასე იყო არგენტინელებთან და ჰოლანდიელებთან. გრძნობ, რომ აფრიკას მეტი შეუძლია, შეუძლია გადმოაგდოს მართლა დიდი თამაში, ისეთი, როგორიც განამ მოახერხა ჩეხებთან, მაგრამ ეს ერთეული იყო. თანაც, აფრიკული გუნდები სხვადასხვანაირად თამაშობენ ხოლმე ჯგუფურ და პლეი ოფის ეტაპებზე. მსოფლიო ჩემპიონატი ისედაც ორი სხვადასხვა შეჯიბრია და არ ვიცი, გააღწევს თუ არა განა მერვედფინალში მაგრამ ასეა: აფრიკელები ჯგუფში ჯანს აწვებიან ხოლმე, პლეი ოფში კი თავიანთ ბუნებრივ და ცოტა უდარდელ თამაშს. ფიზიკურად კი მყარი გუნდები არიან და ფსიქოლოგიურადაც, მაგრამ მაშინ მოეხაზებათ ხოლმე, როცა ჯგუფში იოლად მიაღწევს რაღაცას. თითქოს ფიქრობენ, ჩვენი საქმე უკვე გავაკეთეთ და მეტი აღარ მოგვეთხოვება, სხვები არ გვინდა. სენეგალი გავიხსენოთ.

მე თუ მკითხავთ, წინა ჩემპიონატის სენეგალი გერმანიაში მყოფ ყველა აფრიკულ გუნდს სჯობს იმის მიუხედავად, რომ კოტ დივუარსა და განას რამდენიმე ნამდვილი ვარსკვლავი ჰყავს.

მივაკუთვნებთ თუ არა ტუნისს აფრიკას?

აბა, ვის უნდა მივაკუთვნოთ აფრიკის ჩემპიონი?

ტუნისი უფრო მოქნილი გუნდი ჩანს და ესპანელებიც გვარიანად ტანჯა. ესპანელთა მოგება უფრო ტუნისელთა წაგება იყო, თუმც ესპანეთი ცოდო იყო ნული ქულისთვის. ტუნისელებს ერთი მაგარი ფეხბურთელი ჰყავთ, ტრაბელსი, ესპანელებს კი ლამის თერთმეტივე. ოღონდაც, მგონი, ტუნისმა იმიტომ წააგო, რომ დაიღალა. ორგანიზებული დაცვა დაიშალა. ფრეზე არ ვამბობ, სწორედ წაგებაზე მოგახსენებთ. დაიღალნენ, პოზიციები მიატოვეს, ბატებივით დარბოდნენ. სწორედ ბოლო ოც წუთს.

ეს რაღაც იმის მსგავსია, პრემიერლიგაში რომ ხდება. გამოცდილმა მაყურებელმა იცის: თუ გინდა, მთელი თამაში გამოტოვე, მაგრამ ბოლო ოც წუთს უნდა უყურო. ათიდან შვიდ შემთხვევაში მთავარი ამბები ბოლო ოც წუთში ხდება. იმ დროს თამაში იხსნება, ტაქტიკა იდღაბნება, რჩება მხოლოდ ოსტატობა.

ამ მსოფლიო ჩემპიონატზეც, რამდენი რამ ხდება სწორედ ბოლო ოც წუთში...

თუმცა ისევ ნათქვამს მივუბრუნდები:

სინამდვილეში, მსოფლიო თასი ორი შეჯიბრია: წრიული და სათასო. წრიული სათასოს ჩამოჰგავს, ოღონდ ცოტათი, ამიტომ მისი მომგები ნამდვილი გმირია. ჩემპიონმა ბოლო ოთხი თამაში უნდა მოიგოს. ან არ მოიგოს და პენალტებით იძრომიალოს. გაგახსენდათ, არა?! მეც გამახსენდა.

პენალტები.

ახლოა, სხვათა შორის, ბევრი აღარ დარჩა.

კარლოს ალბერტო პარეირა ერთადერთ მწვრთნელად რჩება ფეხბურთში, მსოფლიო ჩემპიონობა რომ პენალტებით მოუპოვებია.

მოგწონთ პენალტები? არ ვიცი.

მსოფლიო ფეხბურთს აღარა აქვს იმის ფუფუნება, რომ ფრედ გაყრილმა გუნდებმა ხელახლა ითამაშონ. თუმცა ყოფილა დიადი საპენალტო ნახევარფინალიც: ოცი წლის წინათ.

AFP

აქ რა იყო და იქ რა იქნებოდა

ჩემპიონატის მთავარმეგოლეობის კიდევ ერთი ღირსეული პრეტენდენტი გუშინწინ გამოჩნდა — ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდი ფერნანდო ტორესი. „ელ ნინიომ“ უკრაინას ხომ გაუტანა, ტუნისთან კი საგოლე მარაგი კიდევ ორით შეავსო. თუ ესპანეთმა მუნდიალზე წარმატებულად სვლა განაგრძო, ფერნანდოს შესანიშნავი შანსი ექნება, მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარმეგოლე გახდეს. ტორესს ტუნისთან მატჩის შემდეგ მადრიდული „ასის“ ჟურნალისტი გაესაუბრა

— ტუნისთან მოგება ძალიან გაგიჭირდათ...

— გაცილებით რთული მატჩი გამოდგა, ვიდრე მოველოდით, თუმცა ფარ-ხმალი არ დაგვიყრია და საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. 0:1-ის შემდეგ ესპანეთის ნაკრები დაიბნა, ოღონდ სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდნილვართ.

— ლუის არაგონესმა რა გითხრათ შესვენებაზე?

— ჩვენს დამშვიდებას ცდილობდა. მატჩის მერე გაგვიმხილა, რომ მეორე ტაიმში ესპანეთის გამარჯვებაში ასი პროცენტით იყო დარწმუნებული.

— ნაკრებმა მეორე ტაიმში, მართლაც კარგად ითამაშა, თუმცა გოლის გატანა დაგაგვიანდათ...

— ბედის ჩვენკენ შემოტრიალება რომ შეგვიძლია, ხორვატიასთან თამაშშიც გამოჩნდა, თუმცა ის მატჩი ამხანაგური იყო, ტუნისს კი... მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა შეხვედრა რთულია და შეიძლება, ვერც მომავალ მატჩებში მოვიგოთ ისე ადვილად, როგორც ეს უკრაინასთან დებიუტში მოხდა.

— ტუნისთან გამარჯვების შემდეგ ფერნანდო ტორესი მთელი ესპანეთის გმირად იქცა...

— გულშემატკივრებზე მარტო კარგის თქმა შემიძლია. ვხედავდი, გერმანიაში ჩამოსული ინჩასები ტრიბუნებზე რა დღეში იყვნენ და წარმოვიდგინე, შინ, ესპანეთში, რა ხდებოდა, ორმაგი ზეიმი... მართლაც, მთელი ქვეყანა ჩვენ გვიყურებს და ფანების გულისთვის მუნდიალზე, რაც შეიძლება, შორს უნდა წავიდეთ...

— და „ფურია როხას“ სადამდე შეუძლია მისვლა?

— ჯერ ადრეა ამაზე პასუხის გაცემა. პირველი ფაზა დავძლიეთ, მაგრამ ახლა მერვედფინალი მოდის, რაც უფრო რთული ეტაპია. იქ გამოჩნდება ესპანეთის ნამდვილი ძალა, თუმცა საქმე დღესაც უპრობლემოდ მიდის.

— უკვე სამი გოლი გაიტანეთ მსოფლიოს ჩემპიონატზე...

— მთავარმეგოლეობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია, თავდამსხმელებმა მეტოქის კარი დროულად დავინახოთ... დავიდ ვილიამ ორი გაიტანა. რაულმაც, რომელიც ორივე თამაშში სათადარიგო იყო, ერთი გოლის შეგდება შეძლო. ვინც უნდა იყოს მეგოლე, ფინალამდე მაინც უნდა მივიდეთ.

— თვლით, რომ ტუნისთან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეთ?

— რა თქმა უნდა. სამი ქულის აღება ყველაზე მნიშვნელოვანია და თუ ბრწყინვალე სტილში ვერ გავიმარჯვეთ, ალბათ, გულშემატკივარი გვაპატიებს... თუმც არც ისე ცუდი მატჩი იყო.

ზიდანი ტორტის ნაცვლად ყვითელ ბარათებს დაჭრის



AFP

ზინედინ ზიდანს მომავლის ეიმედება. დიდ საფეხბურთო ელიტაში გატარებული 16 წლის შემდეგ ზიზუს არ სურს, კარიერა ზურგზე ყვითელბარათაკრულმა დაარულოს. კორეა-საფრანგეთის შეხვედრაში, მსაჯმა ლეგენდარულ ფეხბურთელს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და, გალთა ნაკრებმა ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში მერვედფინალის საგზური თუ ვერ მოიპოვა, კორეელებთან ხსენებული ჯახი შეიძლება ზიზუსთვის ამ მუნდიალზე და, საერთოდ, კარიერაში ბოლო თამაში გამოდგეს.

„არა, არა და არა. ეს ჩემი დასასრული არ არის“ — განუცხადა ზიდანმა ჟურნალისტებს მატჩის შემდეგ. ანუ დიდ ფრანგს იმედი აქვს, რომ მისი ნაკრები მერვედფინალში გავა (დღეს გალთა ეროვნულ გუნდს ორი ქულა აქვს მხოლოდ) და იქ კიდევ შეძლებს თავის გამოჩენას. ტოგოსთან ჯგუფის ბოლო მატჩს კი ზიზუ, საჯარიმო ბარათთა სიმრავლის გამო, ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. არადა, რა საწყენია — ზუსტად იმ დღეს 34 წელი უსრულდება...

ახლა ზიდანი თანაგუნდელთა იმედზეა. ფრანგებმა მაესტროს, კარიერის საწყენი დასასრული თავიდან უნდა აიცილონ. „კორეასთან მატჩს ჩემს ბლო თამაშად არ ვთვლი, უფრო შორეული გეგმები მაქვს. 1:1-ის გამო კი ნამდვილად ვწუხვარ, მატჩი ჩვენ უნდა მოგვეგო“ — უთხრა ზიზუმ მედიას. გალთა პრესა კი მშობლიური ნაკრების უღიმღამო თამაშის გამო ფრიად ბობოქრობს: „წყალწაღებულები“ — ასე შეაფასა რაიმონ დომენიკის ნაკრები „ეკიპიმ“ თავფურცელზე. „ძალიან ცუდად ვთამაშობთ“ „ამბობს „ლე პარიზიენი“, ხოლო „ლიბერასიონი“ მოთქვამს: „საფრანგეთი დაუძლურდა...“

პატივცემული დომენიკი კი დიდის ამბით გვპირდება, ზიდანს ფეხბურთიდან ასე უპატივცემულოდ არ გავუშვებო. „ზიდანი თამაშს დაუბრუნდება, იგი უკეთესს იმსახურებს. დარწმუნებული ვარ, რომ გულშემატკივარი ამ მუნდიალზე, მას ნაკრების ძირითად შემადგენლობაში კიდევ იხილავს“ — ამბობს გალთა მწვრთნელი. ლილიან ტიურამმა, „სამფეროვანთა“ ნაკრების კიდევ ერთმა მახვშმაც დაირტყა გულზე მჯიღი: „ყველაფერს გავაკეთებთ, რათა „კორეასთან შეხვედრა ზიზუს ბოლო მატჩი არ იყოს“.

ამასობაში, ფრანგ ჟურნალისტებს 1998 წლის მერვედფინალური მატჩი ახსენდებათ, როცა იმდროინდელმა ბრწყინვალე გალებმა ზუსტად იმ დროს, როცა ზიდანი მოედანზე არ იმყოფებოდა, ჩილავერტის პარაგვაი დაამარცხეს. ტოგო იმ პარაგვაისთან შედარებით სუსტია. ამიტომაც...

ლადო ხომერიკი

II ტურის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)



ფრანგი ფრანგულიდან ფრანგულში



„მარსელისა“ და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ფრანკ რიბერი, ალბათ, „ლიონში“ გადავა. „ვფიქრობ, რომ ჩემი მომავალი კლუბი „ლიონი“ იქნება — განაცხადა ფრანგმა — „მარსელში“ დარჩენა აღარ მინდა და უფრო მაღალი დონის გუნდში თამაში მსურს, რომელსაც ევროპაში სიტყვა ეთქმის“.

23 წლის ნახევარმცველი მსოფლიოს ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში, შვეიცარიასთან, ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ ვერ გაიბრწყინა, რასაც ელოდნენ მისგან. მეორე შეხვედრაში სამხრეთ კორეასთან შეცვლაზე შევიდა და პირველ მატჩთან შედარებით უკეთ გამოიყურებოდა.

ფრანკ რიბერის ყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედს“ და „არსენალსაც“ სურდათ. მანჩესტერელებმა „მარსელს“ 9 მილიონი გირვანქა შესთავაზეთ, თუმც ფრანგული კლუბის პრეზიდენტ პაპე დიუფს თანხა ეცოტავა და სამჯერ მეტი მოითხოვა.

„ლიონმა“ კარგი პირობები შემომთავაზა, რომელიც მე და ჩემს ოჯახს ძალიან მოგვეწონა“ — აღნიშნა რიბერიმ, ხოლო ლიონელთა პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ თქვა: „ტრანსფერი ფაქტობრივად მოგვარებულია და ჩვენთან რიბერის გადმოსვლა დროის ამბავია“.



ალესანდრო დელ პიერო

ჯანლუკა ძამბროტა

ფილიპო ინძაგი

გოლი საკუთარ კარში და იტალია ფინალში

ძამბროტამ მსაჯს მსახიობი აჩვენა

იტალიის ნაკრებმა აშშ-სთან ნათამაშები ფრით სანერვიულო გაიჩინა. ბოლო ტურში ჩეხეთთან რთული მატჩი ელით. წაგების შემთხვევაში მარჩელო ლიპის შეგირდები შესაძლოა, ჯგუფში ჩარჩნენ. თუმცა „სკუადრა აძურას“ ბანაკში ამაზე არ ფიქრობენ. იქ საბრძოლო განწყობაა და პირზე ყველას მოგება აკერია.

ჩეხებთან მატჩისთვის იტალიელთა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი: აქედან ორს იძულებითი შეგვიძლია ვუწოდოთ, რადგან აშშ-სთან გაგდებული დანიელე დე როსი დისკვალიფიცირებულია, ხოლო სიმონე პეროტას მცირე ტრავმა აქვს. პირველს ჯენარო გატუზო შეცვლის, მეორეს კი მაურო ხერმან კამორანეზი. ერთგვარი ვადახალისება იგეგმება თავდასხმაშიც. ალბერტო ჯილარდინოს ან ლუკა ტონის ნაცვლად ეგებ ინძაგი ვიხილოთ, რომელიც ვარჯიშზე კარგად გამოიყურებოდა.

ჩეხებთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში ტოტის ნაცვლად შეიძლება ალესანდრო დელ პიერო მოხვდეს. ტოტისგან საოცრებებს ელიან, მაგრამ აშკარაა, რომ „რომას“ კაპიტანი ჯერ სასურველი ფორმისგან შორსაა. დელ პიერო კი ამერიკელებთან მატჩში შეცვლაზე შევიდა და მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა ნახევარმცველს თამაშობდა, „სკუადრა აძურას“ შეტევები მაინც გაახალისა. ამას ისიც ემატება, რომ ორშაბათს გამართულ ვარჯიშზე ლიპიმ ფეხბურთელები ორ გუნდად დაყო და იმ თერთმეტეულმა, რომელშიც დელ პიერო თამაშობდა, 5:0 მოიგო, თანაც ხუთივე გოლი მან გაიტანა.

რაც შეეხება დაცვას, აქ სავარაუდოდ, საკუთარ კარში გოლის გამტანი კრისტიან ძაკარდო შეიცვლება. მიუხედავად იმისა, რომ განელებთან მატჩში ფაბიო გროსომ არადამაჯერებლად ათამაშა, შეიძლება, იგი, ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდეს, რაც ჯანლუკა ძამბროტას მარჯვენა ფლანგზე გადასროლას გამოიწვევს. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსის“ მცველი, რომელსაც მთელი ფლანგის კონტროლი შეუძლია, თავიდან სწორედ მარჯვენა მცველი იყო, მაგრამ ლიპიმ იგი მარცხნივ გადაანაცვლა და დიდი ხანია, უკვე ასე თამაშობს.

ინძაგის ძირითად შემადგენლობაში დაყენებას ემხრობა პაოლო როსიც. ფეხბურთელი, რომელმაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა, საუკეთესო ბომბარდირი გახდა და „სკუადრა აძურა“ ჩემპიონად აქცია. მოგეხსენებათ, მას მერე იტალიელებს მუნდიალი არც მოუგიათ.

„პიპოს“ მხოლოდ 40 წუთი სჭირდება, რათა აჩვენოს, რაც შეუძლია. იგი ყოველთვის იქ არის, სადაც საჭიროა“ — თქვა როსიმ.

ფრანჩესკო ტოტი: „ჩეხეთთან მატჩში აუცილებლად უნდა მოვიგოთ. სხვა რამის გაგონება და დისკუსია არ მინდა. აშშ-სთან მთლად კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ყველა მატჩი უნიკალურია და ერთმანეთისგან განსხვავდება. ჩვენ ისევ პირველ ადგილზე ვართ ბურთების უკეთესი სხვაობით. ამიტომ ჯერ ნუ გაგვაკრიტიკებთ, დაიცადეთ და ვნახოთ, რა მოხდება“.

ძამბროტას კი ეშინია, რომ მსაჯი პაველ ნედვედის ხრიკებზე არ წამოეგოს. მოგეხსენებათ, ეს ფეხბურთელები წლებია, „იუვენტუსში“ თამაშობენ და ერთმანეთს კარგად იცნობენ. შესაბამისად, ძამბროტამ, ალბათ, კარგად იცის ნედვედის „შესაძლებლობები“ და ნახევრად ხუმრობით მოუწოდებს, არბიტრის პროვოცირებას არ შეეცადოს.

„ის, რომ პაველი სიმულანტია, ნამდვილად ტყუილია, თუმცა ზოგჯერ, როცა ჭკვიანურად ეცემა, მეც კი ვტყუვდები“ — ღიმილით თქვა ძამბროტამ.

ტოტისა არ იყოს, „იუვენტუსის“ მცველსაც აკვირვებს „სკუადრა აძურას“ გადამეტებული კრიტიკა და ჟურნალისტებისა თუ ქომაგების ნაკრებისადმი დამოკიდებულება.

ჯანლუკა ძამბროტა: „მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ და ყველამ იცის, რომ ეს შეგვიძლია. თანაც შეიძლება, შემდეგ ეტაპზე წაგების შემთხვევაშიც გავიდეთ. ყოველთვის მაკვირვებს ნაკრებისადმი დამოკიდებულება. როდესაც განასთან კარგად ვითამაშეთ, ლამის უკვე ფინალში გაგვიყვანეს, ხოლო 5 დღის მერე ისე გაგვაკრიტიკეს, თითქოს მუნდიალის დებიუტანტები ვყოფილიყავით. ეს რომ მოთამაშეებზე კარგად არ მოქმედებს, არც აინტერესებთ. თუმცა არა უშავს, ამიერიდან ამას დიდ ყურადღებას აღარ მივაქცევთ“.

ბოლოს ძამბროტას მის მომავალზეც ჰკითხეს. ამბობენ, რომ მისით „მილანია“ დაინტერესებული. ყოველ შემთხვევაში, თუ „იუვენტუსს“ სერია **B**-ში დააქვეითებენ, ძამბროტა „დელე ალპიზე“ აღარ დარჩება. მის სახელს „რეალსაც“ უკავშირებენ, რაზეც ფეხბურთელმა სახალისო პასუხი გასცა.

„იუვე“ ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია მსოფლიოში და მასთან კონტრაქტი მაკავშირებს. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, მინდა, ვერდიქტს დაველოდო. რას ვიტყვი „რეალზე“? სასიამოვნოა, როცა ასეთი გუნდი შენით დაინტერესებულია, მაგრამ მადრიდელები „გალაქტიკოსები“ არიან, მე კი არა“ — დასძინა ძამბროტამ.

დაბოლოს, ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი. შესაძლოა, იტალიის ნაკრების ქომაგებმა კრისტიან ძაკარდოს აშშ-სთან მატჩში საკუთარ კარში გატანილი გოლისთვის მადლობაც კი უთხრან. რატომ? ისტორია გვეუბნება, რომ წინა ორ მუნდიალზე, რომელშიც „სკუადრა აძურას“ რომელიმე მოთამაშემ საკუთარ კარში ბურთი შეაგდო, აპენინელები ფინალში გავიდნენ. 1982 წელს ეს პერუსთან მატჩში ფულვიო კოლოვატიმ გააკეთა. 1994 წელს ესპანეთთან შეხვედრაში ანტონიო ბენარივომ, ხოლო 2006 წელს...

გიორგი კაკაბაძე

ბელამი ელამი არ არის

ჰრემიერლიგას და ჩემპიონთა ლიგას ერთმანეთისგან არჩევს

„ლივერპულს“ კრეიგ ბელამის ყიდვა სურს და ფეხბურთელთან მოსალაპარაკებლად „ბლექბერნისგან“ ნებართვა მიიღო.

რაფაელ ბენიტესი შეტევის გაძლიერებაზე ფიქრობს მას შემდეგ, რაც ფერნანდო მორიენტესი „ვალენსიას“ მიჰყიდა, ხოლო ჯიბრილ სისემ ჩინეთთან ამხანაგურ მატჩში ფეხი მოიტეხა და რამდენიმე თვით უქმობა მოუწევს.

„ლივერპულის“ ესპანელ მწვრთნელს თურმე ძალიან მოსწონს უელსელი ფორვარდი და მის შესაძენად ფულს არ დაიშურებს.

26 წლის ბელამიმ გასულ სეზონში 22 შეხვედრაში 13 გოლი შეაგდო. შეგახსენებთ, რომ იგი „ბლექბერნმა“ „ნიუკასლიდან“ 5 მილიონი გირვანქას სანაცვლოდ იყიდა.

ბლექბერნელთა მწვრთნელ მარკ ჰიუზს, ცხადია, არ სურს ასეთი მეგოლის გაშვება, მით უმეტეს, რომ ჰიუზი გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობს. გუშინწინ კლუბმა კონტრაქტი გაუხანგრძლივა ნახევარმცველ სტივენ რიდს, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა „ბლექბერნში“.

კლუბის პრეზიდენტმა, ჯონ უილიამსმა განაცხადა: „ჩვენ ძალიან გვინდა ბელამის შენარჩუნება. ამის შესახებ ფეხბურთელსაც ვესაუბრეთ და მის აგენტსაც. კონტრაქტის გახანგრძლივება შევთავაზეთ უკეთესი პირობებით, რადგან გვსურს, რომ მომავალ სეზონში ოთხეულში ჰოსხვედრად ვიბრძოლოთ. ახლა სიტყვა ბელამიზეა.“

თავად ბელამი კი კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს. ალბათ, „ლივერპულში“ გადასვლაზე ფიქრობს, რადგან ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და უელსელ ფორვარდსაც ეს უნდა.

ობიექტი

AFP კიოლნიდან



AFP ქაბულიდან

ფეხბურთი ყველასია და ყველგანაა. ავღანეთში ბალახი არ ხარობს, სამაგიეროდ, ფეხბურთი იქაურ მტვერში და ქვებშიც ხარობს და ამაშია ამ მარტივი თამაშის სიდიადე, ბურთი ხომ ყველგან მრგვალია და სულ არ აინტერესებს, რა ფერის ფეხი მოხვდება. ყველაფერი კარგი, მაგრამ ავღანეთი როდისღა მოხვდება მსოფლიოს ჩემპიონატზე? აგერ, ძველ კიოლნში, სასტუმროს ფასადზე გერმანიის მიწაზე ჩასული 32 რჩეული საფეხბურთო ქვეყნის დროშა გამოუკიდიათ, რაღა თქმა უნდა, მათში ავღანური არ ურევია. ამ ზღვა ფოტომსროლელებშიც ნუ დავუწყებთ ავღანელს ძებნას.

სარბიელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲝ

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲙᲠᲝᲙᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲔᲑᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ – ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №6; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ – ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ №39; ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ – ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ №12

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		21 ივნისი						
18:00	187	პორტუგალია-მექსიკა	2.25	2.70	3.55	1.22	1.37	1.53
18:00	188	ირანი-ანგოლა	2.45	3.30	2.65	1.40	1.27	1.46
23:00	189	ჰოლანდია-არგენტინა	3.50	3.10	2.05	1.64	1.29	1.23
23:00	190	კოტ დი'უარი-სერბეთი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		22 ივნისი						
18:00	191	ჩეხეთი-იტალია	3.50	3.10	2.05	1.64	1.29	1.23
18:00	192	განა-აშშ	2.25	3.30	2.85	1.33	1.25	1.52
23:00	193	ხორვატია-ავსტრალია	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
23:00	194	იაპონია-ბრაზილია	10.00	5.10	1.25	3.37	1.11	1.00
		23 ივნისი						
18:00	195	უკრაინა-ტუნისი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
18:00	197	საუდიანეთი-ესპანეთი	14.00	5.80	1.17	4.10	1.07	1.00
23:00	198	შვეიცარია-საკორეა	2.05	2.80	4.00	1.18	1.35	1.64
23:00	199	ტოგო-საფრანგეთი	14.00	6.00	1.15	4.19	1.06	1.00
		აშშ						
		21 ივნისი						
23:45	301	კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი	2.25	3.00	2.75	1.28	1.23	1.43
23:45	302	ვაშინგტონი-ჩიკაგო	1.70	3.20	4.20	1.11	1.21	1.81
23:45	303	კოლორადო-ჩივასი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
		24 ივნისი						
23:45	304	კოლამბუსი-ჩივასი	1.90	3.10	3.40	1.17	1.21	1.62
23:45	305	ვაშინგტონი-კანზასი	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
23:45	306	დალასი-კოლორადო	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
23:45	307	სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი	2.50	3.00	2.50	1.36	1.25	1.36
23:45	308	ლოს ანჯელესი-პიუსტონი	2.80	3.00	2.25	1.44	1.24	1.28
		25 ივნისი						
23:45	309	ჩიკაგო-ნიუ იორკი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15187	პორტუგალია-მექსიკა	3.00	2.80	2.00
15188	ირანი-ანგოლა	3.00	2.80	2.00
15189	ჰოლანდია-არგენტინა	3.00	2.80	2.00
15190	კოტ დი'უარი-სერბეთი	3.00	2.80	2.00
15191	ჩეხეთი-იტალია	3.00	2.80	2.00
15192	განა-აშშ	3.00	2.80	2.00
15193	ხორვატია-ავსტრალია	3.00	2.80	2.00
15194	იაპონია-ბრაზილია	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16187	პორტუგალია-მექსიკა	1.55	2.10
16188	ირანი-ანგოლა	1.70	1.80
16189	ჰოლანდია-არგენტინა	2.30	1.45
16190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.60	2.00
16191	ჩეხეთი-იტალია	2.30	1.45
16192	განა-აშშ	1.60	1.90
16193	ხორვატია-ავსტრალია	1.60	2.00
16194	იაპონია-ბრაზილია	6.00	1.05

გოლი:წყვილი-10%ᲛᲣ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17187	პორტუგალია-მექსიკა	1.85	1.95
17188	ირანი-ანგოლა	1.85	1.95
17189	ჰოლანდია-არგენტინა	1.85	1.95
17190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.85	1.95
17191	ჩეხეთი-იტალია	1.85	1.95
17192	განა-აშშ	1.85	1.95
17193	ხორვატია-ავსტრალია	1.85	1.95
17194	იაპონია-ბრაზილია	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12187	პორტუგალია-მექსიკა	1.60	2.00
12188	ირანი-ანგოლა	1.70	1.90
12189	ჰოლანდია-არგენტინა	1.70	1.90
12190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.70	1.90
12191	ჩეხეთი-იტალია	1.60	2.00
12192	განა-აშშ	1.70	1.90
12193	ხორვატია-ავსტრალია	2.00	1.60
12194	იაპონია-ბრაზილია	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13187	პორტუგალია-მექსიკა	1.70	1.90
13188	ირანი-ანგოლა	1.70	1.90
13189	ჰოლანდია-არგენტინა	1.70	1.90
13190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.70	1.90
13191	ჩეხეთი-იტალია	1.70	1.90
13192	განა-აშშ	1.70	1.90
13193	ხორვატია-ავსტრალია	1.70	1.90
13194	იაპონია-ბრაზილია	1.90	1.65

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14187	პორტუგალია-მექსიკა	1.80	2.00
14188	ირანი-ანგოლა	1.80	1.90
14189	ჰოლანდია-არგენტინა	2.10	1.70
14190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.75	2.10
14191	ჩეხეთი-იტალია	2.10	1.70
14192	განა-აშშ	1.75	2.10
14193	ხორვატია-ავსტრალია	1.80	2.00
14194	იაპონია-ბრაზილია	2.90	1.03

ვინ დაიწყებს თამაშს

19187	პორტუგალია-მექსიკა	1.85	1.85
19188	ირანი-ანგოლა	1.85	1.85
19189	ჰოლანდია-არგენტინა	1.85	1.85
19190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.85	1.85
19191	ჩეხეთი-იტალია	1.85	1.85
19192	განა-აშშ	1.85	1.85
19193	ხორვატია-ავსტრალია	1.85	1.85
19194	იაპონია-ბრაზილია	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24187	პორტუგალია-მექსიკა	1.80	1.80
24188	ირანი-ანგოლა	1.80	1.80
24189	ჰოლანდია-არგენტინა	1.80	1.80
24190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.80	1.80
24191	ჩეხეთი-იტალია	1.80	1.80
24192	განა-აშშ	1.80	1.80
24193	ხორვატია-ავსტრალია	1.80	1.80
24194	იაპონია-ბრაზილია	1.80	1.80

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22187	პორტუგალია-მექსიკა	1.80	1.80
22188	ირანი-ანგოლა	1.70	1.90
22189	ჰოლანდია-არგენტინა	1.65	2.00
22190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.70	1.90
22191	ჩეხეთი-იტალია	1.80	1.80
22192	განა-აშშ	1.80	1.80
22193	ხორვატია-ავსტრალია	1.80	1.80
22194	იაპონია-ბრაზილია	1.80	1.80

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23187	პორტუგალია-მექსიკა	3.00	1.30
23188	ირანი-ანგოლა	3.00	1.30
23189	ჰოლანდია-არგენტინა	3.00	1.30
23190	კოტ დი'უარი-სერბეთი	3.00	1.30
23191	ჩეხეთი-იტალია	2.90	1.32
23192	განა-აშშ	3.00	1.30
23193	ხორვატია-ავსტრალია	3.00	1.30
23194	იაპონია-ბრაზილია	2.90	1.32

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20187	პორტუგალია-მექსიკა	1.70	1.85
20188	ირანი-ანგოლა	1.80	1.80
20189	ჰოლანდია-არგენტინა	1.90	1.70
20190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.70	1.90
20191	ჩეხეთი-იტალია	1.90	1.60
20192	განა-აშშ	1.70	1.90
20193	ხორვატია-ავსტრალია	1.70	1.90
20194	იაპონია-ბრაზილია	2.10	1.45

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყვ) (ძირ. დრო)

21187	პორტუგალია-მექსიკა	1.90	10.00	1.70
21188	ირანი-ანგოლა	1.80	10.00	1.80
21189	ჰოლანდია-არგენტინა	1.70	10.00	1.90
21190	კოტ დი'უარი-სერბეთი	1.90	10.00	1.70
21191	ჩეხეთი-იტალია	1.70	10.00	1.90
21192	განა-აშშ	1.90	10.00	1.70
21193	ხორვატია-ავსტრალია	1.90	10.00	1.70
21194	იაპონია-ბრაზილია	1.50	10.00	2.20

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10187	პორტუგალია-მექსიკა	2.65	1.80	3.90	1.07	1.57	1.23
10188	ირანი-ანგოლა	2.85	2.00	3.00	1.17	1.46	1.20
10189	ჰოლანდია-არგენტინა	3.85	2.00	2.45	1.31	1.49	1.10
10190	კოტ დი'უარი-სერბეთი	2.60	2.00	3.45	1.13	1.48	1.26
10191	ჩეხეთი-იტალია	3.95	2.00	2.35	1.32	1.47	1.08
10192	განა-აშშ	2.65	1.90	3.10	1.10	1.42	1.17
10193	ხორვატია-ავსტრალია	2.70	2.00	3.45	1.14	1.51	1.26
10194	იაპონია-ბრაზილია	8.00	3.00	1.35	2.18	1.15	1.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11187	პორტუგალია-მექსიკა	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11188	ირანი-ანგოლა	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11189	ჰოლანდია-არგენტინა	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11190	კოტ დი'უარი-სერბეთი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11191	ჩეხეთი-იტალია	5.20	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11192	განა-აშშ	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11193	ხორვატია-ავსტრალია	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11194	იაპონია-ბრაზილია	15.00	15.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	1.40

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲐᲖᲣᲡᲢᲔᲗ

რალფ მინგე: ფეხბურთი გაჩერდა

ქართველთა გერმანელ მწვრთნელს ტოტალიზატორში არ უმართლებს

საქართველოს ნაკრების მწვრთნელ რალფ მინგეს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩების დასრულების შემდეგაც ვესაუბრეთ. მეორე ტურმა საკმაო სიურპრიზები შემოგვთავაზა, რომელთა ავტორებად ევროპის 2008 წლის შესარჩევ ციკლში ჩვენი თანაჯგუფელებიც მოგვევლინენ. მინგესთან საუბარიც მათი გამოსვლით, კონკრეტულად კი, იტალიის ნაკრებით დავიწყეთ...

— მეორე წრის მატჩები უფრო დიდი მოულოდნელობებით იყო აღსავსე, ვიდრე პირველის. კონკრეტულად იტალიას რაც შეეხება, სასტარტო შეხვედრაში ძალიან კარგად ითამაშეს და ბევრი ენერგიაც დახარჯეს. ამერიკელებთან მათ თამაშს კი გარკვეული დაღი მეტოქის შეუფასებლობამაც დაასვა, თუმცა არა მგონია, მარჩელო ლიპის გუნდს ჯგუფში პრობლემები შეექმნას. აი, მერე უკვე ბევრი რამ მათ მობილიზების უნარზე იქნება დამოკიდებული.

— ფრანგებმა მეორე მატჩში დაადასტურეს, რომ სერიოზული პრობლემები აქვთ...

— მოულოდნელია, მაგრამ ფაქტია, რომ დომენეკის გუნდზე უკეთ ის ნაკრებები თამაშობენ, ჩემპიონატის დასაწყისში სათვალავში რომ არავინ აგდებდა. მერვედფინალში ფრანგები ალბათ მაინც გავლენ, მაგრამ ასეთი თამაშით სერიოზული შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია.

— საუდის არაბეთთან მოგების შემდეგ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ესპანეთთან უკრაინამ, უბრალოდ, თავი შეინახა?

— უკრაინა — საუდის არაბეთს ტრიბუნიდან ვუყურე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სრულებით სხვა გუნდს ვხედავდი — უკრაინის ნაკრებს ორი სახე აქვს. ვერ ვიტყვი, რომ არაბებთან ძალიან კარგად ითამაშეს, მაგრამ მთავარი მოახერხეს: ოთხი გოლი გაიტანეს და ერთიც არ გაუშვიათ.

— ორი ტურის შემდეგ რომელი გუნდები მიგაჩნიათ ფავორიტებად?

— ჯერჯერობით საუკეთესო შთაბეჭდილება არგენტინის ნაკრებმა დატოვა. მან ძირეულად შეცვალა ჩემი დამოკიდებულება სამხრეთამერიკულ ნაკრებებთან მიმართებაში. ორ-ორი მოგება აქვთ ინგლისს და ესპანეთსაც, რომლებიც ასევე ფავორიტთა შორის არიან.

— გერმანიის ნაკრები არ გიხსენებიათ, იურგენ კლინსმანის გუნდსაც ხომ ორი გამარჯვება აქვს...

— გერმანია თავისთავად ფავორიტთა შორისაა. ალბათ, არ არის ძნელი წარმოსადგენი, რა ხდება ახლა გერმანიაში. ქალაქები საზეიმოდაა მორთული, მთელი მსოფლიოდან ჩამოსული გულშემატკივრებითაა სავსე, გერმანიის ნაკრების გამარჯვების შემდეგ კი... ძნელია სიტყვებით იმ ემოციისა და ეიფორიის გადმოცემა, გერმანიის ნაკრების გამარჯვებას რომ მოსდევს. მაქსიმუმზე ლაპარაკი რთულია, უკვე მერვედფინალში კლინსმანის გუნდს გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლება. ვისურვებ, რომ ამ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ კარგად მომზადებულ ბიჭებს ბოლომდე სიხარული მოეტანოთ საკუთარი ქვეყნისთვის — გერმანელი გულშემატკივარი ამას ნამდვილად იმსახურებს.

— შეადარეთ ეს ჩემპიონატი ევროპის 2004 წლის და მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატებს. საით მიდის ფეხბურთი?

— შეიძლება ითქვას, იგივე ტენდენცია გრძელდება, რომელმაც ოცი წლის წინ აიღო სათავე. თანამედროვე ფეხბურთი სისწრაფისა და ტექნიკის ნაზავია. მიმდინარე ჩემპიონატს რაც შეეხება, რევოლუციური ნამდვილად არ არის. უკვე ნანახის მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ 2002 და 2004 წლების ჩემპიონატების შემდეგ ფეხბურთში თითქმის არაფერი შეცვლილა.

— წელან რამდენიმე ფავორიტი ახსენეთ. ტოტალიზატორში ერთი კონკრეტული გუნდის ჩემპიონობაზე რომ გქონდეთ დასადები ფსონი, ვისზე შეაჩერებდით არჩევანს?

— გამოგიტყდებით, ტოტალიზატორში საერთოდ არ ვთამაშობ. ეგ კი არა, ლოტო ან ბანქოც არ მითამაშია, რადგან არასოდეს მიმართლებდა და მოგების იმედი არ მაქვს. მირჩევნია, ცხოვრებაში სხვა რაიმეში გამიმართლოს და არა აზარტულ თამაშებში.

ნინო სილაგაძე

კრივბასი ცარიელი და ტარიელია

ფოტო: ფოლადაშვილის ფოტო

ლადო ბურდულის დებიუტი 63 წუთისაა

ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილმა კრივოი როგის „კრივბასმა" მოსამზადებელი ეტაპის პირველი ტესტ-მატჩი გამართა და ლადო ბურდულის არაოფიციალური დებიუტიც შედგა. კრივოიროგელები დნიპროპეტროვსკის „დნიპროს" გაეჯიბრნენ და 0:1 წააგეს.

„კრივბასის" დაჩაჩანაკებამ დიდი ხმაური გამოიწვია უკრაინაში — ამ გუნდს ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ფინანსური ზურგი ჰქონდა და ძნელი წარმოსადგენი იყო, ასე თუ გაუჭირდებოდა. სპონსორების გაკოტრებამ კი „კრივბასს" ფულის გარდა ფეხბურთელებიც დააკარგვინა — რამდენიმემ უკვე მიაშურა სხვა გუნდებს.

მოკლედ, ბურდულს მთლად კარგი ამბები არ დახვდა ახალ გუნდში...

„დნიპროსთან" ლადომ ძირითადში ითამაშა და 63-ე წუთზე შეცვალეს, კიდევ ერთმა კრივბასელმა ვასილ გიგიაძემ კი 45 წუთი გაატარა მოედანზე.

კახა შალამბერიძე

ასათიანი ავსტრიაში, ჭელიძე სოჭში

გუშინწინ მოსკოვის „ლოკომოტივმა" მორიგი შეკრების გასავლელად ავსტრიას მიაშურა. ძირითად შემადგენლობასთან ერთად ავსტრიაში მხოლოდ ერთი ჩვენებური, მალხაზ ასათიანი გაემგზავრა, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე კი უკვე გუშინ სოჭში იყო...

რატომ გადაწყვიტა სლავოლიუბ მუსლინმა „პაჭელოს" დატოვება? თავად გიორგიზე უკეთ ამ კითხვაზე, აბა, ვინ გვიპასუხებდა...

— განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ტრავმის გამო რა ხანია, ნორმალურად არც მივარჯიშია. ძირითად შემადგენლობას ავსტრიაში საკონტროლო თამაშები ექნება, მათში მონაწილეობას მაინც ვერ მივიღებდი და წაყოლას აზრი არ ჰქონდა. დღეს ჩამოვედით სოჭში, რეაბილიტაციის კურსს გავივლი, ფორმას დუბლშემადგენლობასთან ერთად აღვიდგენ და ძირითადს მერე დავუბრუნდები.

გიორგი ნოზაძე

ზაზა დარასელის დღე

ვაკეში, „ირაოს" მოედანზე დასრულდა ცნობილი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის, ზაზა დარასელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. ორგანიზატორებმა ფინალი დარასელის დაბადების დღეს დაამთხვიეს — გუშინ იგი 56 წლისა გახდებოდა.

შარშანდლის მსგავსად, ფინალში მეორე არხი და აფხაზეთის ტელევიზია გავიდნენ. ჩემპიონები კვლავ მეორეარხელები გახდნენ — 3:2 იმარჯვეს, თასიც შეინარჩუნეს და საპრიზო 1 500 ლარიც მიიღეს. მათვე გადაეცათ ყველაზე კორექტული გუნდისთვის დაწესებული 400 ლარი. მეორეადგილოსანმა 1 000 ლარი მიიღო, ხოლო მესამე-მეოთხემ — „ბოცვაძელებმა" და ტელეკომპანია „იმედმა" 600 და 400 ლარი.

ფინანსური წახალისების გარეშე ჯგუფიდან ვერგასული გუნდებიც არ დარჩენილან. ორგანიზატორებმა მათ 100-100 ლარი გადასცეს. ფასიანი საჩუქრები ტურნირის მონაწილე ყველა ფეხბურთელმა მიიღო. ბოლოს კი განსაკუთრებული პრიზიც გათამაშდა: მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალის ბილეთი აფხაზეთის ტელევიზიის წევრ ირაკლი ჯაფარიძეს ერგო.

ბრაზილია, არგენტინა და... ურუგვაი?!

ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონები დაპატიჟა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ, ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ და ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა ირაკლი ოქროშიძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართეს და ბავშვთა ახალდასრულებულ ასაკობრივი ჩემპიონატების გარდა სხვა საინტერესოც თქვეს...

სგფფ-ის პრესსამსახური

სერგი გვარჯალაძე, გოგი ქავთარაძე და აჩიკო გულედანი

კერძოდ ის, რომ 15 ნოემბერს და 7 თებერვალს საქართველოს ნაკრები თბილისში ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ერთ-ერთი მეტოქე კი მსოფლიოს სამხრეთამერიკელი ჩემპიონი გუნდი იქნება. რაკი სამხრეთამერიკელებს მსოფლიოს სამი ჩემპიონი ჰყავთ — ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი — სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს მეტოქე ალბათ უფრო ურუგვაია. თუმცა ვნახოთ, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თქვა, ახლა ამხანაგური მატჩის ბოლო დეტალებზე მიმდინარეობს მოლაპარაკება და მსოფლიოს ჩემპიონის და კიდევ მეორე გუნდის ვინაობასაც ორიოდ დღეში გავამხელთო.

იქამდე კი ირაკლი ოქროშიძემ ბავშვთა ფეხბურთზე ილაპარაკა...

— ბავშვთა გუნდებს შორის გივი ჩოხელის, ვიტალი დარასელიას და სლავა მეტრეველის სახელობის საქართველოს ჩემპიონატები 18 ივნისს დასრულდა, ხოლო 6-დან 18-მდე ჩემპიონატების ფინალური ეტაპები „შევარდენის“ სტადიონზე ოცი საუკეთესო გუნდის მონაწილეობით გაიმართა. პარალელურად გამოვლინდა ჭაბუკთა ლიგის გამარჯვებულებიც — თბილისის „დინამოს“ აკადემია და თბილისის „თბილისი“, ხოლო ჩემპიონები თბილისის „ოლიმპიკი“ (1988-წლიანებში), 35-ე სკოლა (1989-წლიანებში), თბილისის „ოლიმპიკი“ (1990-წლიანებში) და „ნორჩი დინამოელი“ (1991-წლიანებში) გახდნენ. აღსანიშნავია, რომ „ნორჩი დინამოელის“ გარდა ყველა ჩემპიონმა ქუთაისური გუნდები დაამარცხა, ხოლო ნორჩმა დინამოელებმა ქობულეთელი თანატოლები.

უჩა უგულავა: წლევანდელი ჩემპიონატები ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა და ყველა საორგანიზაციო საკითხი მოწესრიგებული იყო. ფეხბურთის ფედერაცია დეკემბერ-იანვარში საქართველოს ყველა ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ინსპექტირებას გეგმავს და რომელი სკოლაც მინიმალურ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, ლიცენზიას ვერ მიიღებს. ასე ვთქვათ, გრადაციის პრინციპს გამოვიყენებთ, სკოლებს ერთიდან სამ ვარსკვლავამდე შევაფასებთ. გარდა ამისა,

საქართველოს ნაკრების ფან-ქვეყანას ამირანი მიიღებს

დიდ ყურადღებას დავუთმობთ სკოლებში სამედიცინო მომსახურეობის საკითხებს.

ამის შემდეგ უჩა უგულავამ გუშინდელ „სარბიელში“ გამოქვეყნებულ ბოლნისის „სიონის“ პრეზიდენტისა და ბოლნისის გამგებელ გია არევაძის ინტერვიუზე კომენტარი გააკეთა, მისი სიტყვა კი ლიცენზირების კომიტეტის უფროსმა ლალი ლობჟანიძემ განაგრძო.

შეგახსენებთ, გია არევაძემ თქვა, რომ ბოლნისელებს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის გამართვა ბოლნისში სურდათ, მაგრამ ფეხბურთის ფედერაცია ამ საქმეში ხელს არ უწყობს.

უჩა უგულავა: როდესაც „სიონი“ ჩემპიონი გახდა, კლუბის ხელმძღვანელობამ გვთხოვა, სტადიონს მოვაწესრიგებთ და ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს ბოლნისში ჩავატარებთო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უეფაში საერთაშორისო მატჩების მასპინძელი სტადიონების სიას მარტში ვაგზავნით. ამ შემთხვევაში კი ბოლნისელებს ანგარიში გავუწიეთ და 2 ივნისს უეფას აღმასრულებელ-განმკარგულებელ ლარს-კრისტერ ოლსონს წერილი გავუგზავნეთ, ეგებ ბოლნისის სტადიონს საკვალიფიკაციო მატჩების მასპინძლობის უფლება მისცეთო. 9-ში კი უეფადან წერილი მოვიდა, გვატყობინებდნენ, რომ პირველი მატჩი „სიონმა“ სხვა სტადიონზე უნდა გამართოს, მომდევნო შეხვედრამდე კი უეფას წარმომადგენელი ბოლნისის სარბიელს თავად შეამოწმებს და თუ დააკმაყოფილებს, ნებას მოგცემთ, მეორე ეტაპის მატჩი ბოლნისში ჩატარდესო. თბილისის „მიხეილ მესხის“ სტადიონი კი ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში, ევროპულ სტანდარტებს მეტ-ნაკლებად რომ შეესაბამება. ბოლნისის სტადიონის რეკონსტრუქცია, როგორც ვიცი, არც ახლაა დამთავრებული.

ლალი ლობჟანიძე: ამას წინათ უეფაში გახლდით და კატეგორიული მითითება მივიღე, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ბოლნისში არ ჩატარდეს. ხოლო თუ „სიონი“ მომდევნო ეტაპზე გავა, საქართველოში უეფას სტადიონების ინსპექტორი ფაბრე ჩამოვა და ბოლნისის სტადიონს თავად შეამოწმებს. თუ „თამაზ სტეფანია“ ფაბრეს დააკმაყოფილებს, „სიონი“ მეორე ეტაპზე უკვე ბოლნისში ითამაშებს. იქამდე კი უეფას მადლობა ვუთხრათ, ევროთასებზე მონაწილე ოთხივე ქართულ კლუბს ერთ, „მიხეილ მესხზე“ თამაშის ნება რომ მისცა. არადა, ერთ სტადიონზე მხოლოდ ორ გუნდს შეუძლია მეტოქის მასპინძლობა. უეფამ კი ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა და შეღავათი გაგვიკეთა.

ფედერაციის ხელმძღვანელების პრესკონფერენციის შემდეგ ჟურნალისტებს ცნობილი ტელესახე სერგი გვარჯალაძე და მუსიკოსი აჩიკო გულედანი შეგვხვდნენ და იმ პროექტზე ისაუბრეს, ფეხბურთის ფედერაცია კომპანია „კომუნიკატორთან“ და „ულტრასტეჯგუფთან“ ერთად რომ მუშაობს.

სერგი გვარჯალაძე თავის გადამღებ ჯგუფთან ერთად საქართველოს ნაკრებს ამას წინათ ავსტრია-გერმანიაში ახლდა და ჩვენს უპირველეს გუნდზე ფილმიც გააკეთა, უფრო სწორად, აკეთებს...

— ფილმი 52-წუთიანი იქნება და მასში ასახულია საქართველოს ნაკრების მოედანს მიღმა ცხოვრება. გვსურს, რომ ქომაგმა ნახოს ის, რაც ეროვნულ გუნდზე აქამდე არ უნახავს და უფრო კარგად გაიცნოს ნაკრების წევრები — ფეხბურთელები, მწვრთნელები და პერსონალი. ფილმს საფრანგეთთან მატჩამდე ვუჩვენებთ. გარდა ამისა, უკვე მოფიქრებულია ის სლოგანი, რომელიც ქომაგსა და ნაკრებს გაერთიანებს და ერთ საერთო ორგანიზმად აქცევს, უკვე შექმნილია სანაკრებო ჰიმნიც, რომლის რამდენიმე ვერსიაც არსებობს — არის როგორც ლირიკული და თანამედროვე, ასევე როკ და საცეკვაო ვარიანტები. საოცარი კაცია კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც პირად ნაცნობობამდე ტიპიური გერმანელი, ცოტა ცივი და უჟმური მეგონა, მაგრამ როცა გავიცანი, ამ პიროვნებაზე აბსოლუტურად სხვა წარმოდგენა დამრჩა — წარმოიდგინეთ, კლაუს ტოპმიოლერი საათობით მეცადინეობს ქართულ ენაში და ეროვნულ ჰიმნს სწავლობს, რისკენაც მოუწოდებს კიდეც ნაკრების ყველა წევრს. ფილმი, ნაირნაირი კლიპები ეროვნულ გუნდზე, ჰიმნი — ეს პიარი არ არის, ეს კეთდება იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრები და ხალხი გაერთიანდეს და წარმატება-წარუმატებლობისას ერთად ვიყოთ. ვფიქრობ, ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებთ.

აჩიკო გულედანი: ამ პროექტის მიზანია, ქომაგობა და საქართველოს ნაკრები გაერთიანდნენ და ისეთი რამ მოვიფიქროთ, რაც ჩვენს გუნდს წარმატებაში ოდნავ მაინც დაეხმარება. გვსურს, რომ საქართველოს ნაკრების ქომაგობა იყოს ნაღდი, მატჩის პირველიდან ბოლო წუთამდე და არა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი გუნდი იგებს. ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ ის უშნო გამონათქვამები, რომლებიც ტრიბუნაზე ხშირად ისმის ხოლმე.

ბოლოს კი სანაკრებო სიახლეების გარდა გოგი ქავთარაძემ ესეც გვითხრა: 25 ივნისს 5 საათზე კინოთეატრ „ამირანში“ გეპატიჟებით, სადაც ნახავთ კიდეც იმ პროდუქციას, რაც ამ ჩვენი ერთობლივი პროექტის შედეგად გამოვიდა. იქვე მოეწყობა საქართველოს ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბის პრეზენტაცია. ჰიმნი, კლიპები, მაისურები... მოკლედ, 25-ში ყველაფერს, ფილმის გარდა, „ამირანში“ ნახავთ და მოისმენთ. ქომაგი მე-12 ფეხბურთელია და რამდენიმე მოთამაშეს უთქვამს კიდეც, თბილისში ვთამაშობთ თუ სტუმრად, ხანდახან ვერც ვგრძნობთო. ახლა კი, როცა ნაკრების ფეხბურთელები ქომაგობისგან ნაღდ ქომაგობას ნახავს, ისინიც გაათმაგებული ენერგიით ითამაშებენ. გარწმუნებთ, რომ საქართველოს ნაკრები ყველა მატჩში თავს დადებს და შესაძლებლობების მაქსიმუმით ითამაშებს.

ქობა ინასარიძე

ნუკრი რევიშვილის, ლაშა სალუქვაძის, მიხეილ აშვეთიას და ბიორგი ქინქლაძის „რუბინი“ შვეიცარიული შეკრებიდან დაბრუნდა. „რუბინმა“ შვეიცარიაში სამი საკონტროლო მატჩი ითამაშა, რომლებშიც ქინქლაძის გარდა ყველა ჩვენებურს მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. ქინქლაძესაც პირველ რიგში ამაზე ვკითხეთ...

გერმანელებს ქინქლაძე დაავიწყდათ?

არსაიდან ხმა, არსით ძახილი

— საზარდულის ტრავმის გამო ვერ ვითამაშე, შვეიცარიაში მხოლოდ უბრალოდ ვვარჯიშობდი. ერთ კვირაში ალბათ ბოლომდე მომირჩება საზარდული და სრული დატვირთვით ვარჯიშსაც შევუდგები.

— შვეიცარიაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა მიხეილ აშვეთიამ, ვისაც კუნთი ჰქონდა დაჭიმული...

— აშვეთია ახლა სრულიად ჯანმრთელია.

— რუსეთის მიმდინარე პრემიერლიგაში მეორე ადგილზე ხართ და ორი ქულით ჩამორჩებით ცსკა-ს — „რუბინის“ მიზანი ჩემპიონობაა?

— კლუბის ხელმძღვანელობისგან ასეთი კატეგორიული მოთხოვნა არ ყოფილა, თუმც ჩემპიონობისთვის ალბათ ვიბრძოლებთ.

— „რუბინი“ ცსკა-ს ბევრით ჩამოუვარდება?

— ამის თქმა ჯერ არ შემიძლია, პრემიერლიგაში მხოლოდ 7 ტურია ნათამაშევი და თუ რა ძალის არიან გუნდები, მერე და მერე უფრო გამოჩნდება.

— ნაკრების მწვრთნელთაგან არავის უსაუბრია შენთან?

— არა, ჯერ არავინ შემხმიანებია.

დავით თავართქილაძე



ფოტოზე: ალექსანდრე ფეფელაშვილი

დავით ილარიანი | მარიამ ქევხიშვილი

ზონის ამბები

ისვრიან, გარბიან, ბარიერებს ახტებიან

ევროპის მძლეოსანთა გუნდები სიძლიერის მიხედვით ზონებად არიან დაყოფილნი და თავიანთ ჩემპიონატებსაც ატარებენ. საქართველოს მძლეოსნები ბულგარეთის, სერბეთის, მონტენეგროს, ლიტვის, კვიპროსის, ლუქსემბურგის, ალბანეთის, მაკედონიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდებთან ერთად „ბ“ ზონის ბინადარნი არიან. ამავე ზონაში არიან ერთ გუნდად გაერთიანებული, ეგრეთწოდებული ჯუჯა ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომლებიც ცალ-ცალკე ნაკრებს ვერ აყალიბებენ.

ჩვენი სპორტსმენები ამ ზონის ევროპის გუნდური თასიდან, რომელიც სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გაიმართა, გუშინ დაბრუნდნენ.

ჩვენმა ვაჟებმა ამ შეჯიბრებაში VIII, ხოლო ქალებმა VII ადგილი დაიკავეს.

საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე მარიამ ქევხიშვილი, რომელმაც ბირთვის კვრაში მეორე შედეგი (15.02მ.) აჩვენა.

მესამე ადგილები დაიკავეს ლერი ჩიტაიშვილმა და დავით ილარიანმა. პირველმა ამ წარმატებას უროს ტყორცნაში (63.06) მიაღწია, ხოლო მეორემ 110 მეტრზე თარჯრბენში (14.20), არადა, სარბიელზე მისი გამოსვლა სულ ბოლოს გადაწყდა, რაკიღა დაშავებული იყო და ტრავმას იშუშებდა.

უთუოდ უნდა აღინიშნოს ახმეტელი ნინო თათრულაიძის გამოსვლაც 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, სადაც იგი მეოთხე იყო. აქ აღსანიშნავი ისაა, რომ ამ დისციპლინაში აქამდე ქართველებს სპორტსმენი არ გვყოლია, დებიუტანტის კვალობაზე კი მეოთხე ადგილი ურიგო სულაც არაა.

ავთანდილ ბუკვიშელი

სევასტოპოლიდან მარიუპოლი არ ჩანს

საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები სევასტოპოლშია, სადაც დღეს უკრაინის უმაღლესი ლიგის ღია ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩები იწყება. ჩვენი წყალბურთელები უძლიერესთა პირველი ექვსეულში არიან, სადაც ყველა მეტოქეს შეხვდებიან. მეხუთე ტურის დაწყებამდე ისინი მეოთხე ადგილზე არიან და 3 ქულით ჩამორჩებიან მესამე ადგილზე მყოფ კიევის „დინამოს“, ხოლო ლვოველ დინამოელებთან ერთით მეტი აშორებთ. ქართველ წყალბურთელებს, რა თქმა უნდა, მესამე ადგილზე გადანაცვლებისა და ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი აქვთ, ხოლო პირველ ადგილზე მყოფი მარიუპოლის გუნდი, რომელიც ბოლო წლებში უკრაინაში უძლიერესია, იმდენად დაწინაურდა, რომ პრაქტიკულად მისი დამწევი აღარავინაა.

რა თქმა უნდა, ქართველი წყალბურთელები მედლების მოსაპოვებლად შანსის გამოყენებას შეეცდებიან, მაგრამ მათი მიზანი მხოლოდ ეს როდია. ჩვენი წყალბურთელები უკრაინის ჩემპიონატს საკუთარი ოსტატობის ასამაღლებლად და გამოცდილების შესაძენად იყენებენ, ხოლო შინაური ჩემპიონატების გამართვა მრავალი წელია, რაც ვერ მოხერხებულა იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ გუნდები აღარ გვყავს.

ასეა თუ ისე, თბილისელი წყალბურთელებისთვის სევასტოპოლური ტური, ეტყობა, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატისთვის ბოლო მოსამზადებელი ეტაპი იქნება, რადგან საამისოდ ჩვენს გუნდს სხვა სპარინგ-პარტნიორი ჯერჯერობით ვერ მოუძებნია.

ავთანდილ ბუკვიშელი

უძლიერესებს თურქეთში ელიან

4-9 იგლისს თურქეთის ქალაქი იზმირი ფარიკაობის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. კონტინენტის მთავარ ტურნირში ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას, ოღონდაც, მხოლოდ დაშნითა და ხმლით მოფარიკავე კაცები.

თურქეთში წამსვლელი გუნდი ჯერაც დაუკომპლექტებელია. შერჩევა ზეგიდან დაიწყება და ნაკრებში ის მოფარიკავეები მოიპოვებენ ადგილს, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „უძლიერესთა ტურნირში“ იყოჩაღებენ.

ამ ტურნირის ორგანიზატორი საქართველოს ფარიკაობის ფედერაციაა. ეს არ გახლავთ ტრადიციული შეჯიბრება, „უძლიერესთა ტურნირის“ გამართვა საგანგებოდ ევროჩემპიონატისთვის დაიგეგმა. ეს იქნება ერთგვარი სალიცენზიო ტურნირი იზმირის ევროპირველობისთვის და მასში საქართველოს მართლაც უძლიერესი მოფარიკავეები მიიღებენ მონაწილეობას.

ტურნირი 23-25 ივნისს თბილისში ჩატარდება და მასში ძალას დედაქალაქელებთან ერთად მოსინჯავენ ბათუმელი, ქუთაისელი და რუსთაველი სპორტსმენები. როგორც ვთქვით, თურქეთში მხოლოდ დაშნითა და ხმლით მოფარიკავე კაცები მიდიან, მაგრამ „უძლიერესთა ტურნირი“ სრული პროგრამით ჩატარდება, ანუ კაცებიცა და ქალებიც დაშნით, ხმლით და რაპირით იასპარეზებენ.

როგორც ვთქვით, მანდილოსნები თურქეთში არ მიდიან, თუმც „უძლიერესთა ტურნირში“ გასამარჯვებლად ძალებს როდი დაიშურებენ. აი, კაცთა შეჯიბრს კი უფრო მეტი ეშხი ექნება — საუკეთესო 8 მოფარიკავე (4-4 დაშნასა და ხმალში) საევროპო ნაკრებში ჩაჯდება.

ირაკლი პერტაია

აი, დონე!

ქართული რაგბი მილიონერია

საერთაშორისო აღიარებიდან თექვსმეტი წლის თავზე საქართველოს რაგბის კავშირს რაგბის საერთაშორისო საბჭომ დიდი საჩუქარი გაუკეთა: დუბლინურ ოფისში საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ქართული რაგბი ძალიან მზარდია და მეოთხე დონის დაფინანსებიდან მესამეში გადაიყვანეს, ანუ სამი და ექვსი ერის (რომლებიც პირველი დონის დაფინანსებებში წერიან), არგენტინისა და მისნაირების შემდეგ საქართველო ყველაზე დიდ დახმარებას მიიღებს.

რაგბის საერთაშორისო საბჭო ჩვენებს 360 ათას გირვანქას გამოუყოფს, რაც ერთი მილიონ 110 ათასი ლარია. თანხა ჩვენმა კავშირმა ინფრასტრუქტურისა და მორაგბეების დასაოსტატებლად სამ წელიწადში უნდა აითვისოს.

დახმარება უფრო დიდი, 900 ათასი გირვანქა იქნებოდა, მსოფლიო რაგბის მამებს პორტუგალია, ტუნისი და რუსეთი რომ ჩამოეწერათ. ფული ამ ოთხზე „გატყდა“. საქართველო-პორტუგალია 360-360 ათასს მიიღებენ, ტუნისი — 180 ათასს, ხოლო რუსეთი ჯერჯერობით ოდენ 40 ათასს დასჯერდება.

გრანტს ჩვენები ისანში, „შევარდენის“ სტადიონზე სარაგბო აკადემიის დაარსებას მოახმარენ. იქ ბინას 30 პერსპექტიული ჭაბუკი დაიდებს და რაგბობის გარდა, უცხოური პროგრამით ხომ გაიწვრთნება, ამასთან, უცხო ენას, კომპიუტერსა და მარკეტინგსაც შეისწავლის.

ბაჩო სვანიძე

დაღესტნური ნული

ქართველები აზერბაიჯანში ოქროზე დაპატიჟეს

ფოტოზე: ალექსანდრე ფეფელაშვილი

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ხასავიურტის საერთაშორისო ტურნირიდან ხელცარიელი ბრუნდება. ტრადიციულ დაღესტნურ პირველობაზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება არცთუ ადვილი საქმე აღმოჩნდა. ამიტომაც იყო, 17 ივნისს დაწყებული შეჯიბრის შედეგები გუშინღა რომ შევიტყვეთ.

— ეს-ესაა დელეგაციის წევრმა თემურ ყაზარაშვილმა გზიდან დამირეკა და შემატყობინა, რომ თერთმეტი ჩვენი მოჭიდავიდან ერთმაც ვერ შეძლო მედლის აღება — გვითხრა გუშინ დილით თბილისში მყოფმა თავისუფალთა ნაკრების თავკაცმა **ზაზა თურმანიძემ** — ამ მომენტისთვის მხოლოდ ეს ვიცი. ვერ გეტყვით, ბიჭებმა დამსახურებულად წააგეს თუ დაიჩაგრნენ. ცუდია, ხელცარიელნი რომ ბრუნდებიან, მაგრამ არა უშავს. დიდ წარმატებებს ამ ტურნირზე არც ველოდით. ჯერ ერთი, რომ იქ ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით ჩავიდა და მეორეც, ხასავიურტის ტურნირზე ტრადიციულად, უძლიერესი მოჭიდავეები იყრიან ხოლმე თავს.

თურმანიძის და მისი გუნდის ძირითადი ბირთვის დაღესტანში წაუსვლელობის მიზეზი ბაქოს „ოქროს ლიგაა“, რომელიც 23-25 ივნისს ჩატარდება. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ წლეულს დანერგილი ეს ტურნირი რამდენიმე სერიისგან შედგება და აზერბაიჯანული ეტაპი ყველაზე პრესტიჟულია. ორგანიზატორებმა წინა სერიებში ნაყოჩაღარი ფალავნები ბაქოში ინდივიდუალურად მიიწვიეს. საპრიზო ფონდი კი ტრადიციულია — ჩემპიონი 5 ათას დოლარს მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი — 3 ათასს, მესამეადგილოსანი — ათასს.

რვა მოსაწვევი საქართველოშიც ჩამოვიდა. თურმანიძის ხუთეული — გელა საღირაშვილი (74კგ), რევაზ მინდორაშვილი (84კგ), გიორგი გოგშელიძე (96კგ), ლუკა კურტანიძე და ლექსო მოდებაძე (ორივე +120კგ) — ხალიჩაზე 25 ივნისს გავა. იქამდე ორი დღით ადრე კი „ოქროს ლიგაზე“ სამი ბერძენ-რომაელიც იჭიდავებს. ბეგი დარჩიას თან ირაკლი ჭოჭუა (55კგ), შალვა გადაბაძე (74კგ) და შმაგი სალთხუციშვილი (84კგ) მიჰყავს. კლასიკოსები აზერბაიჯანში დღეს დილით გაემგზავრნენ, თავისუფლები კი ხვალ წავლენ.

ოთარ მაღლაკელიძე

რეკლამა
სარგიელ—ში
38-11-14, 877 54 55 00

ჰლეი ოფი 2006. ფინალი

როდ ბრინდამორმა თასი თავს ზემოთ ასწია და... ცრემლები ველარ შეიკავა. ვაპატიოთ „კაროლინას“ კაპიტანს ეს წამიერი სისუსტე. ის ხომ მთელი კარიერა ამ მომენტს ელოდა. 35 წლის ვეტერანის 17-სეზონიანი ასპარეზობა ლიგაში საბოლოოდ იმ ერთადერთი პრიზით დაგვირგვინდა, რისთვისაც ალბათ საერთოდ ღირს ნჰლ-ში თამაში



AFP როიტერიდან

თასი ქარიშხალმა აიტაცა

19 ივნისი

კაროლინა 4:3 ედმონტონი

კაროლინა 3:1 ედმონტონი

1:0 1:0 1:1

1:0 უორდი (2), 2:0 კაბერლე (25), 2:1 პიზანი (42), 3:1 უილიამსი (59)

მარტო ბრინდამორისთვის არ იყო ეს დღე ესოდენ შთამბეჭდავი. სხვას რომ თავი დავანებოთ, კიდევ ოთხი ვეტერანი „კაროლინელი“ ელოდა ლიგაში შებიჯებისთანავე ამ ტრიუმფს. ბრედ ჰედიკანმა, გლენ უესლიმ, რეი უიტნმ და დუგ უაიტმა საერთო ჯამში 78 სეზონი ჩაატარეს ლიგაში, სანამ თასის მოგების სიტკბოს იგრძნობდნენ. „ოჰ, რა ძნელი იყო ეს ლოდინი. აქამდე ორჯერ ვითამაშე ფინალში და ორჯერვე დავმარცხდი. აღარ მეგონა, რომ ეს დღე ოდესმე დადგებოდა“ — ერთერთ ვეტერან ჰედიკანს მატჩის შემდეგაც თავი სიზმარში ეგონა. დუგ უაიტი კი ალბათ ყველაზე მეტად გაწვალდა — პლეიმეიკერი ბოლო ორ მატჩში ტრავმის გამო ვერ მონაწილეობდა და სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა თამაშებს.

მაგრამ რას მიაღწევდნენ ეს დამსახურებული ჰოკეისტები, რომ არა მათი გაცილებით ახალგაზრდა და სავსებით გამოუცდელი პარტნიორი კემ უარდი. 22-წლის გოლკიპერმა ფინალი საოცრად ჩაატარა და პრაქტიკულად ყველაფერი მოიგერია, რის მოგერიებაც შეიძლებოდა. ბოლოს ასეთი შთამბეჭდავი სადებიუტო სეზონი ლეგენდარულ პატრიკ რუას ჰქონდა, რომელმაც შორეულ 1986 წელს „მონრეალის“ რიგებში თასი მოიპოვა და და პლეი ოფის MVP, ანუ კონსმით ტროფის მფლობელი გახდა. ზუსტად 20 წლის შემდეგ მისი მიღწევა უარდმა გაიმეორა, რომელიც ისევე, როგორც რუა თავის პირველ სეზონში, ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ პლეი ოფში მოულოდნელად პირველი მეკარე შეიქნა და სავსებით გაამართლა მწვრთნელთა ნდობა.

ცოტა თამაშზეც ვთქვათ. „ედმონტონის“ ზედიზედ ორი მოგების შემდეგ კანადური კლუბის ქომაგებმა თითქმის დაიჯერეს, რომ სასწაული მოხდებოდა და მათი კერპები შეუძლებელს შეძლებდნენ, მაგრამ მასპინძელთა პირველივე სერიოზული შეტევა მენავთობეთათვის ტრაგედიით დასრულდა. მეორე მესამედის დასაწყისში „ქარიშხლებმა“ კვლავ გაიტანეს. ისევ მცველი გამოირჩა, ამჯერად ჩეხი ფრანტიშეკ კაბერლე. მისი დარტყმის შემდეგ შაიბა ყინულზე მის დასაბლოკად გაშოტილ ერთ-ერთ ედმონტონელს მოხვდა და ოდნავ შეიცვალა მიმართულება, რამაც სტუმართა მეკარე იუსი მარკანენი დააბნია. შემდეგ კი კემ უარდის დრო მოვიდა. მიუხედავად „ედმონტონის“ ძალისხმევისა, „კაროლინას“ მეკარემ მხოლოდ ერთხელ გაატანინა მეტოქეს, ისიც თასის საუკეთესო მეგოლე ფერნანდო პიზანის. ყველაფერი ბოლოსწინა წუთზე გაირკვა. მას შემდეგ, რაც სტუმართა გამოცდილმა მცველმა კრის პრონგერმა ვერ შეძლო შაიბის მეტოქის ზონაში დატოვება, ჯასტინ უილიამსი მშვიდად დაეუფლა მას და მაყურებელთა შეძახილების თანხლებით ცარიელი კარისკენ გაქანდა. 3:1 — მოგება და პირველად თავის ისტორიაში „კაროლინა ჰერიკეინსი“ თასის მფლობელი გახდა. ასე რომ, ზედიზედ მეორე სეზონია, ჩემპიონი სამხრეთ-აღმოსავლეთი დივიზიონის გუნდი ხდება, სწორედ იმ დივიზიონისა, რომელიც ტრადიციულად ლიგაში უსუსტესად ითვლებოდა. 1993 წლის შემდეგ უთასოდ მყოფი კანადა კი ზედიზედ მეორე ფინალში მონაწილეობით ინუგეშებს თავს და ალბათ კიდევ იმით, რომ „კაროლინას“ მოთამაშეთა უმრავლესობა, მათ შორის ზემოხსენებული ხუთი ვეტერანიდან ოთხი და თვით კემ უარდიც, წარმოშობით კანადელია.

სამგელ ღარიბიანი

სტენლის თასის ბოლო 40 გამარჯვებული

1966	მონრეალი	1974	ფილადელფია	1982	აილენდერსი	1990	ედმონტონი	1998	დეტროიტი
1967	ტორონტო	1975	ფილადელფია	1983	აილენდერსი	1991	პიტსბურგი	1999	დალასი
1968	მონრეალი	1976	მონრეალი	1984	ედმონტონი	1992	პიტსბურგი	2000	ნიუ ჯერსი
1969	მონრეალი	1977	მონრეალი	1985	ედმონტონი	1993	მონრეალი	2001	კოლორადო
1970	ბოსტონი	1978	მონრეალი	1986	მონრეალი	1994	რეინჯერსი	2002	დეტროიტი
1971	მონრეალი	1979	მონრეალი	1987	ედმონტონი	1995	ნიუ ჯერსი	2003	ნიუ ჯერსი
1972	მონრეალი	1980	აილენდერსი	1988	ედმონტონი	1996	კოლორადო	2004	ტამპა
1973	მონრეალი	1981	აილენდერსი	1989	კალგარი	1997	დეტროიტი	2006	კაროლინა

კონ სმით ტროფის ყველა მფლობელი



კემ უარდი — „კაროლინას“ გამარჯვების მთავარი შემოქმედი

1965	ჟან ბელივო (მონრეალი)
1966	როჟე კროზიე (დეტროიტი)
1967	დეივ კიუნი (ტორონტო)
1968	გლენ ჰოლი (სენტ-ლუისი)
1969	სერჟ სავარი (მონრეალი)
1970	ბობი ორი (ბოსტონი)
1971	კენ დრაიდენი (მონრეალი)
1972	ბობი ორი (ბოსტონი)
1973	ივან კურნუაიე (მონრეალი)
1974	ბერნი პარენტი (ფილადელფია)
1975	ბერნი პარენტი (ფილადელფია)
1976	რეჯი ლიჩი (ფილადელფია)
1977	გი ლეფლერი (მონრეალი)
1978	ლარი რობინსონი (მონრეალი)
1979	ბობ გეინი (მონრეალი)
1980	ბრაიან ტროტიე (აილენდერსი)
1981	ბუჩ გორინგი (აილენდერსი)
1982	მაიკ ბოსი (აილენდერსი)
1983	ბილი სმითი (აილენდერსი)
1984	მარკ მესიე (ედმონტონი)
1985	უეინ გრეტცკი (ედმონტონი)
1986	პატრიკ რუა (მონრეალი)
1987	რონ ჰექსტალი (ფილადელფია)
1988	უეინ გრეტცკი (მონრეალი)
1989	ელ მაკინისი (კალგარი)
1990	ბილ რენფორდი (ედმონტონი)
1991	მარიო ლემიე (პიტსბურგი)
1992	მარიო ლემიე (პიტსბურგი)
1993	პატრიკ რუა (მონრეალი)
1994	ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი)
1995	კლოდ ლემიე (ნიუ ჯერსი)
1996	ჯო საკიკი (კოლორადო)
1997	მაიკ ვერნონი (დეტროიტი)
1998	სტივ აიზერმანი (დეტროიტი)
1999	ჯო ნიუენდაიკი (დალასი)
2000	სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი)
2001	პატრიკ რუა (კოლორადო)
2002	ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი)
2003	ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი)
2004	ბრედ რიჩარდსი (ტამპა)
2006	კიმ უარდი (კაროლინა)

შენიშვნა: 1966, 1968, 1976, 1987, 2003 წლებში კონ სმით ტროფი ფინალში დამარცხებული გუნდების წევრებს ერგოთ. 2005 წელს ლოკაუტის გამო სეზონი არ ჩატარებულა

ვინ დაიცავს საკანდიდატო მინიმუმს?

ატლანტური ბრძოლა ლოზანაში დასრულდება

ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიდმოხელეებთან ერთად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლები, აგრეთვე მომავალი ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების უკვე ცნობილი და ჯერაც უცნობი, ანუ კანდიდატი და აპლიკანტი ქალაქების დელეგაციები შეიკრიბნენ. ისინი ორი დღის განმავლობაში მრავალ საკითხზე იმსჯელებენ, მათ შორის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზეც და მისი მასპინძლობის მოსურნე აპლიკანტი ქალაქებიდან კანდიდატებს შეარჩევენ.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომთან ერთად ეს ქალაქებია: ალმატი (ყაზახეთი), ზალცბურგი (ავსტრია), პიონჩანი (კორეა), სოფია (ბულგარეთი), სოჭი (რუსეთი) და ხაკა (ესპანეთი). ამ ქალაქთაგან შესაძლოა კანდიდატის სტატუსი სამს მიაკუთვნონ, ან იქნებ შვიდივეც დატოვონ, უფრო სავარაუდო კი ისაა, რომ ბრძოლას ხუთი გააგრძელებს.

ჩვენი დელეგაციის კოზირი ბორჯომ-ბაკურიანის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და კლიმატური პირობებია. თუნდაც თოვლი ავიღოთ. ბაკურიანში უმაღლესი ხარისხის თოვლი თავზესაყრელად გვაქვს. როგორც საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გოგი თოფაძე ამბობს, ამას ადასტურებენ საფრანგეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ექსპერტები, ოღონდ, ცხადია, მხოლოდ ბუნებრივი პირობები არ კმარა.

მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად ბუნებრივ პირობებთან ერთად ბრწყინვალე ოლიმპიური ბაზებიც რომ გვქონდეს, არც ესაა საკმარისი, რადგან დიდი სპორტული შეჯიბრებების მასპინძლობის გამოცდილება არ გვაქვს. ისე, სიტყვაზე კი, ოლიმპიადას კარგად ჩავატარებთო, საეჭვოა, ვინმე გვენდოს...

ჩვენსავით მარჩიელობენ სხვებიც და თავ-თავიანთ მინუს-პლუსებს წონიან. მათ შორისაა ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სტეფკა კოსტადინოვა, რომელიც ოპტიმისტურად აფასებს სოფიის შანსებს. თუმცა, იქვე ამბობს, თუ ამ არჩევნებს წავაგებთ, 2018 წლისთვისაც ვიბრძოლებთო.

ამას კი ქართული მხარე დიდი ხანია, ამბობს, მაგრამ, ცოტაც დავიცადოთ და სამარჩიელოც აღარაფერი იქნება.

ავთანდილ ჯყვიშელი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტია, ბარ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაოვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge